ეწვიეთ ვებგვერდს და იხილეთ ახალი ამბები

14 დეკემბერი, 2015 N 3

OBSERVER
OBSERVE TO LEAD

ყოველკვირეული ორენოვანი გაზეთი საქართველოში

WEEKLY BILINGUAL NEWSPAPER IN GEORGIA

ისტომ ტოვებს ჩესეთი ჟენევის მოლაპარაკებების მაგიდას

გვ.2

ჟენევის ფორმატში ქართული მხარის მთავარი მისიაა, ერთი მხრივ, „დატოვოს“ რუსული მხარე კონფლიქტის მონაწილედ. არ დაუშვას, სეპარატისტული რეგიონების პირდაპირი ჩართვა დისკუსიებში, როგორც ცალკე დამოუკიდებელი ერთეულების. ამასთან, დღის წესრიგში დააყენოს ყველაზე პრობლემატური საკითხები, რომელთა შორის დევნილთა დაბრუნება ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია.

ქართული ენერგეტიკაში "გაზპრომის" წილი იზრდება

გვ.9

კახა კალაძის განცხადებით, საქართველომ უნდა მოახდინოს გაზის იმპორტის წყაროებისა და მარშრუტების დივერსიფიკაცია, რათა ბაზარზე კონკურენციის არსებობით ხელსაყრელ ფასს მიაღწიოს. იმპორტის წყაროს დივერსიფიკაციისათვის კი, უპირველესად, რუსეთი განიხილება, აგრეთვე არსებობს ირანთან თანამშრომლობის შესაძლებლობაც, რაც საქართველოს დასაყრდენ აზერბაიჯანულ მხარეს დამატებით კითხვებს უჩენს.

საქართველოს ვიზა ლიბერალიზაციის ჰროცესი აფხაზებისა და ოსების ყურადღებას იპყრობს?! გვ.8

ფოთის თავისუფალი ინდუსტრიული ზონა ახალი ინვესტიციების განხორციელებას გეგმავს გვ.10

რამ გამოიწვია ინფლაციის მაჩვენებლის ზრდა საქართველოში გვ.12

რა რისკებთან აქვს დაკავშირებული სამედიცინო მკურნალობა საზღვარგარეთ გვ.14

პირველი ქართული მომლოცველის ჰოლობრამა - კონსულტი, რომელის ისტორიას დაჩრდა გვ.17

ჩატომ ტოვებს ჩუსეთი ჟენევის მოლაპარაკებების მაგიდას?

გუჩა ფცკიალაძე (გეგბარეთი)

ჟენევის მოლაპარაკების მორიგი 24-ე რაუნდი 8-9 დეკემბერს ორი სამუშაო ჯგუფის ფარგლებში ჩატარდა, რომელსაც ტრადიციულად, ეუთო-ს, გაერო-სა და ევროკავშირის წარმომადგენლები თანათავმჯდომარეობდნენ.

პირველი სამუშაო ჯგუფის ფარგლებში განსახილველ საკითხებს შორის იყო რუსეთსა და დე ფაქტო რეჟიმს შორის 26 ნოემბერს სამხედრო სფეროში დადებული ხელშეკრულება შეიარაღებული ძალების გაერთიანებული დაჯგუფების შექმნის თაობაზე. ამას გარდა, ქართული მხარისგან დაისვა საკითხი ბოლო დროს სამხედრო წვრთნების რაოდენობის მატებასა და საქართველოს ხელისუფლების მიერ კონტროლირებადისაჰაერო სივრცის დარღვევის ფაქტებზე.

ამასთანავე, როგორც საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურ განცხადებაშია ნათქვამი, საქართველოს დელეგაციის წარმომადგენლებმა ხაზი გაუსვეს სოხუმისა და ცხინვალის საოკუპაციო რეჟიმების თვითიზოლაციის პოლიტიკას, მავთულხლართებისა და სხვა ხელოვნური ბარიერების აღმართვის გაგრძელებას, ასევე საოკუპაციო საზღვრის უკანონო გადაკვეთის ბრალდებით საქართველოს მოქალაქეების დაკავებისა და გატაცების შემთხვევებს, რუსეთის საოკუპაციო ძალების მიერ 23 ნოემბერს, გიორგობის დღესასწაულზე, სოფელ აძვში ეკლესიის ეზოდან ადამიანების გატაცების ფაქტს.

მეორე სამუშაო ჯგუფის ფარგლებში ყურადღება გამახვილდა გადაადგილების თავისუფლებაზე, მშობლიურ ენაზე განათლების მიღების უფლებასა და ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებათა დაცვის აუცილებლობაზე. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაშივე ნათქვამია, რომ საქართველოს დელეგაციამ აქცენტი დასვა გალის რაიონში ქართულ ენაზე სწავლების შეზღუდვის ფაქტებზე და მოითხოვა ამგვარი შესაძლებლობის უზრუნველყოფა. ასევე, ქართულმა მხარემ კიდევ ერთხელ მოუწოდა რუსეთს, საქართველოს მსგავსად ძალის გამოუყენებლობის ვალდებულება აიღოს, რომელზეც თანხმობა 2010 წლის 23 ნოემბერს ცალმხრივად განაცხადა და ანალოგიურ ნაბიჯს მოითხოვს რუსული მხარისგანაც.

მოლაპარაკებები დროებით ადგილნაცვალ პირებზე საუბრისას შეწყდა, როცა სოხუმისა და ცხინვალის დე ფაქტო რეჟიმების წარმომადგენლებმა რუსი დელეგატების თანხლებით შეხვედრა დატოვეს, რის შედეგადაც მუშაობა დასრულდა. მომდევნო, 35-ე რაუნდი კი მომავალი წლის 22-23 მარტს გაიმართება, - აღნიშნულია საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურ განცხადებაში.

ჟენევის ფორმატში ქართული მხარის მთავარი მისიაა, ერთი მხრივ, „დატოვოს“ რუსული მხარე კონფლიქტის მონაწილედ. არ დაუშვას, სეპარატისტული რეგიონების პირდაპირი ჩართვა დისკუსიებში, როგორც ცალკე დამოუკიდებელი ერთეულების. ამასთან, დღის წესრიგში დააყენოს ყველაზე პრობლემატური საკითხები, რომელთა შორის დევნილთა დაბრუნება ერთ ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია. მისი მოგვარება რთულად მიღწევადია, რადგან მას რუსული მხარე წითელ ხაზად მიიჩნევს და დათმობაზე წასვლას არ აპირებს. ამის ნათელი დადასტურება 34-ე რაუნდშიც ვიხილეთ, როცა დევნილების საკითხზე საუბრის დროს რუსეთის დელეგაციამ შეწყვიტა დისკუსიაში მონაწილეობის მიღება.

ჟენევის ფორმატს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ქართული მხარისთვის, რადგან დღესდღეობით იგი წარმოადგენს დიალოგის ერთადერთ ფორმას. მას შემდეგ, რაც დე ფაქტოდ აღიარებულ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში გაერო-სა და ეუთო-ს მისიები აღარ ფუნქციონირებს, მოცემული ფორმატი ერთადერთ პლატფორმად რჩება, ქართულმა მხარემ საკუთარი პოზიცია რომ გააჟღეროს და საერთაშორისო საზოგადოებას კვლავ შეახსენოს არსებული პრობლემების შესახებ.

34-ე რაუნდში ქართული მხარე ამჯერადაც შეეცადა, უმთავრესი თემების გარშემო მოლაპარაკებების წარმოებასა და ყურადღების უმთავრეს ასპექტებზე გამახვილებას. მოლაპარაკებების ჩიხში კიდევ ერთხელ შესვლით ნათელი ხდება, რომ არსებობს საკითხები, რაც მხარეებისთვის წითელ ხაზს წარმოადგენს და მის იქით მოლაპარაკებები აღარ იძვრის. მათ შორისაა იძულებით გადაადგილებულ პირთა დაბრუნების საკითხი. ნიშანდობლივია, რომსწორედ მისი განხილვის დროს შეწყდა მოლაპარაკებები დე ფაქტო ხელისუფლებების წარმომადგენლებისა და რუსეთის მხარის ინიციატივით, რაც მიუთითებს, რომ როგორც რუსეთი, ისე სეპარატისტული რეჟიმების წარმომადგენლები დევნილთა საკითხზე კომპრომისზე წასვლას არ აპირებენ.

უფრო ზოგად კონტექსტში კი მთავარი პრობლემა რუსეთის დაჟინებული უარია კონფლიქტის მხარედ ყოფნაზე. მათი განცხადებით, საქართველომ მოლაპარაკებები არა მათთან, არამედ სეპარატისტულ რეჟიმებთან უნდა აწარმოოს, თავად კი მედიატორის როლში გამოვიდეს. ქართული მხარისთვის მოლაპარაკებების პირდაპირი რეჟიმი დე ფაქტო მხარეებთან ასევე წითელი ხაზია და მისი ინტერესია, რუსული მხარის, როგორც კონფლიქტის მონაწილის, ჩართულობა დისკუსიაში. საქართველოს პოზიცია რუსეთის კონფლიქტის მხარედ ცნობაზე აიხსნება მისი მცდელობით, ხაზი გაუსვას რუსეთის ჩართულობას 2008 წლის აგვისტოს ომში და წარმოაჩინოს ის, როგორც კონფლიქტის მონაწილე მხარე.

ამგვარად ,ქართული მხარე გამორიცხავს იმის შესაძლებლობას, რომ მოლაპარაკებებში დე ფაქტო რეჟიმები დამოუკიდებლად მონაწილეობდნენ, რითაც ზღუდავს მათი რაიმე სახის სუვერენიტეტის არსებობას. მაინც, რატომ ტოვებს ნაადრევად რუსეთი მოლაპარაკების მაგიდას ასე ხშირად?

საქმე ის გახლავთ, რომ რუსეთი მოცემულ ფორმატში თავს არაკომფორტულად გრძნობს, რადგან მას ხშირ შემთხვევაში გაერო-ს, ეუთო-სა და ევროკავშირის წარმომადგენლების თვალწინ თავის მართლება და ქართული მხარის მიერ დასმულ უხერხულ კითხვებზე პასუხის გაცემა უხდება. დისკუსიის დროს კი მათთვის შედარებით მიუღებელ, ე.წ. წითელი ხაზის გადამკვეთ საკითხებზე რუსი დელეგატები, როგორც ჟენევის ფორმატი იძლევა საშუალებას, მოლაპარაკებებს აჩერებენ, რაც, შესაბამისად, ნიშნავს პასუხისმგებლობის თავიდან არიდებასა და საკითხების მომდევნო შეხვედრისთვის გადადებას. ამ გზით ისინი აჭიანურებენ მოლაპარაკებებსა და ისეთ საკითხებზე შეთანხმებას, რაც მათთვის მიუღებელია.

დაბოლოს, აღსანიშნავია ირაკლი ალასანიას ახალი ინიციატივა გერმანია - საქართველო - რუსეთის ფორმატის შექმნაზე, რაც, მისივე თქმით, საქართველოს მხრიდან გამოიყენება ქვეყნის ინტერესების წინ წამოსაწევად. გერმანია კი არის ქვეყანა, რომელსაც საქართველოსა და რუსეთს შორის ურთიერთობების დარეგულირება შეუძლია. მოცემული ინიციატივის ამოქმედების შემთხვევაში კი, ჟენევის ფორმატი აღარ იქნება ერთადერთი პლატფორმა საქართველოსთვის ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანესი საკითხების წინ წამოსაწევად. ირაკლი ალასანიას განცხადებით, ახალი ინიციატივა საფრთხეს არ შეუქმნის ჟენევის ფორმატის არსებობას.

აღნიშნული ფორმატის შექმნა ნიშნავს იმას, რომ რუსეთს მოუწევს საქართველოსთან დიალოგი იმ შუამავლის მეშვეობით, რომელთან საერთო ენის გამონახვა უფრო შეუძლია, ვიდრე კონკრეტულ ორგანიზაციებთან თუ ქვეყნებთან. მეორე მხრივ, მედიატორის როლში მხოლოდ ერთი სუბიექტის არსებობით ჩრდილოეთ მეზობელს მეტი მანევრირების საშუალება ექნება (ჟენევის მოლაპარაკებებში კი რუსეთს თავის დაცვა არა ერთ, არამედ რამდენიმე შუამავალთან უწევს) და, შესაბამისად, უფრო თავისუფლად იგრძნობს თავს. საქართველოსთვის აუცილებელია, რომ მოცემული ინიციატივის განხორციელების შემთხვევაში საფრთხე არ შეექმნას ჟენევის ფორმატის არსებობას. მით უმეტეს, შესაძლოა, რუსეთმა საუბარი დაიწყოს იმაზე, რომ ამ ახალი პლატფორმის შექმნით გაუქმდეს ჟენევის დისკუსიები. საქართველოსთვის საუკეთესო გამოსავალი იქნებოდა ჟენევის მოლაპარაკებების პარალელურად ზემოაღნიშნული ინიციატივის დანერგვა. ეს დიდი წინადადებაა, გასაყოფია კარგი იქნებოდა ამ საკითხზე შენი ანალიზი, თუ არადა ამოვიღოთ ჩანართივით გამოდის, შეიძლება ბოლოსკენ ამის ჩამოტანა, განვრცობა და გაანალიზება.

არქი ჯგუფი

თბილისის ყველა უბანში

10 წლიანი გამოცდილება

გირჩევთ ეწვიოთ ჩვენ!

პროექტის სრული ჩამონათვალი იხილეთ
ვებ გვერდზე : WWW.ARCHI.GE

2 602 602

საქართველო ვიზა ლიბერალიზაციასთან დაკავშირებით ევროკომისიის დადებით დასკვნას ელის

თეიმურაზ შა

საქართველოს საზოგადოება 2015 წლის 15 დეკემბერს ელოდება ევროკომისიის ანგარიშს საქართველოს მიერ ვიზა ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის შესრულებასთან დაკავშირებით, რომელიც მთავრობამ ევროკავშირისგან 2013 წლის 25 თებერვალს მიიღო.

ვიზა ლიბერალიზაცია ევროკავშირთან ნიშნავს ბიომეტრიული პასპორტების მქონე საქართველოს მოქალაქეებისთვის უვიზო მიმოსვლას შენგენის წევრი-სახელმწიფოების (მათ შორის ევროკავშირის არა-წევრები სახელმწიფოების - ნორვეგიის, შვეიცარიის, ისლანდიის), კვიპროსის, ხორვატიის, რუმინეთისა და ბულგარეთის ტერიტორიებზე 90 დღით ნახევარი წლის განმავლობაში. აღნიშნული პოლიტიკის მიხედვით, უვიზო მიმოსვლა მყარდება დასავლეთ ბალკანეთის სახელმწიფოებთან (სერბეთი, მაკედონია, ჩერნოგორია, ალბანეთი), თუმცა არ მოქმედებს დიდი ბრიტანეთისა და ირლანდიის რესპუბლიკის ტერიტორიაზე, სადაც ინდივიდუალური სავიზო პოლიტიკა არსებობს.

რეალურად, ევროკომიის „დადებითი“ ანგარიში არ ნიშნავს საქართველოსთან უვიზო მიმოსვლის დამყარებას, არამედ ეს არის შეფასებებისა და რეკომენდაციების პაკეტი ევროკავშირის პარლამენტისთვის, რომელმაც შემდგომ უნდა იმსჯელოს სავიზო პოლიტიკაზე, დამატებით რეკომენდაციებზე და ჩვენი ქვეყნის მზაობაზე -გახდეს სავიზო პოლიტიკის თავისუფალი წევრი.

აღსანიშნავია, რომ ღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამის ფარგლებში მოლდოვა პირველი სახელმწიფოა, რომელმაც შეძლო ევროკავშირთან ორმხრივი უვიზო პოლიტიკის დამყარება. მოლდოვამ სამოქმედო გეგმა 2010 წლის 15 ივნისს მიიღო, ხოლო უვიზო რეჟიმი 2014 წლის 28 აპრილს დამყარდა. მოლდოვას სამოქმედო გეგმის ყველა პუნქტის შესრულებისთვის დასჭირდა დაახლოებით 4 წელი. თუმცა, მოლდოვის ევროკავშირთან ვიზა ლიბერალიზაციის პროცესი დიდწილად რუმინეთის (ევროკავშირის წევრი ქვეყანა) მეზობლობამ განაპირობა.

2015 წლის 21-22 მაისს, აღმოსავლეთ პარტნიორობის რიგის სამიტის ფარგლებში, ევროკავშირის წარმომაგენლებმა აღნიშნეს, რომ საქართველომ გეგმაში გათვალისწინებული 15 პუნქტიდან სულ რაღაც 7 შეასრულა, უმეტესად ისეთი პუნქტები, რომლებიც ეხებიან მიგრაციებს, ადამიანის ტრეფიკინგს, ტერორიზმთან ბრძოლას და ა.შ.

ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიამ 28 სექტემბერს საქართველოში ვიზა ლიბერალიზაციის პროცესის შეფასებითი სამუშაოები ჩაატარა. სადამკვირვებლო ვიზიტის ფარგლებში, ევროკავშირის ელჩმა საქართველოში - იანოშ ჰერმანმა განაცხადა, რომ საქართველოს ვიზა ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის უმეტესი ნაწილი უკვე შესრულებული აქვს.

18 ნოემბერს ბრიუსელში საქართველო-ევროკავშირის ასოცირების საბჭოს სხდომა გაიმართა, რომლის დასასრულს ევროკომისიის ვიცე-პრეზიდენტმა ფედერიკა მოგერინიმ განცხადება ვიზა ლიბერალიზაციასთან დაკავშირებით გააკეთა. „მივესალმებით იმ ფაქტს, რომ საქართველომ წარმატებით მიაღწია ვიზების ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ეტაპობრივ მიზნებს. ვერ გეტყვით, რა გადაწყვეტილებას მიიღებს საბჭო ამ საკითხთან დაკავშირებით, მაგრამ სახეზეა აშკარად პოზიტიური ტენდენციები” - განაცხადა ევროკომისიის ვიცე-პრეზიდენტმა.

9 დეკემბერს გერმანულმა გამომცემლობამ „Die Welt“-მა საიტზე გამოაქვეყნა სტატია, რომელშიც აღნიშნულია, რომ საქართველოს, უკრაინისა და თურქეთის მოქალაქეები ევროკავშირის ქვეყნებში უვიზო მიმოსვლით უკვე 2016 წლის შუა პერიოდიდან შესძლებენ. „Die Welt“-ის მიხედვით, აღნიშნული ინფორმაცია მათ ევროკომისიის სანდო წყაროზე დაყრდნობით მიიღეს.

წლის ადამიანი

ბიოჰბი მესხი (ბერლინი)

1927 წლიდან, ამერიკული გამოცემა „Time“ ყოველწლიურად ასახელებს „წლის ადამიანებს“. როგორც წესი, წლის ადამიანებად სახელდებიან ხოლმე ისინი, ვინც ყველაზე მეტად გამოიჩინა თავი მთელი წლის მანძილზე. მიმდინარე წლის 9 დეკემბერს „წლის ადამიანად“ დასახელდა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერი, დოქტორი ანგელა მერკელი.

ამ ტიტულის მქონე პიროვნებათა სიას თუ გადავხედავთ, ადვილად შევამჩნევთ, რომ წლის ადამიანთა დიდ უმრავლესობას პოლიტიკოსები შეადგენენ. ანგელა მერკელი მეოთხე გერმანელი კანცლერია, ვისაც ეს ტიტული ერგო, მისი წინამორბედები იყვნენ: ვილი ბრანდტი (1970), კონრად ადენაუერი (1953) და... ადოლფ ჰიტლერი (1938). არც ისაა ძნელად შესამჩნევი, რომ წლის ადამიანებად, როგორც წესი, მამაკაცები სახელდებიან ხოლმე. ანგელა მერკელი მეოთხეა წლის ადამიანებად (ინდივიდუალურად) დასახელებულ ქალთა შორისაც, უოლის სიმპსონის (1936), დედოფალი ელიზაბეთ მეორისა (1952) და კორაზონ აკვინოს (1986) შემდეგ.

როგორც ვხედავთ, „წლის ადამიანთა“ სია საკმაოდ მრავალფეროვანია. ეს ტიტული მიანიშნებს წლის მთავარ მოვლენებზე და ამ მოვლენათა ცენტრში მყოფ პიროვნებებზე. მიმდინარე წლის ადამიანად ანგელა მერკელის დასახელება იმასაც ნიშნავს, რომ 2015 წლის მთავარ მოვლენებად მიიჩნევა ევროპაში მომხდარი ამბები, რომელთა შუაგულშიც დგას გერმანია და მისი კანცლერი. ანგელა მერკელის ბიოგრაფია ცხადყოფს, რომ მისი ცხოვრება მჭიდროდ არის დაკავშირებული გერმანიისა და, ზოგადად, ევროპის უახლეს ისტორიასთან.

ანგელა დოროთეა კასნერი დაიბადა 1954 წელს, ჰამბურგში, ლუთერანი პასტორის, ჰორსტ კასნერის ოჯახში. იმავე წელს კასნერების ოჯახი საცხოვრებლად გადავიდა აღმოსავლეთ გერმანიაში, ქალაქ ტემპელინში, რომელიც ბერლინიდან ოთხმოცი კილომეტრით არის დაშორებული. ამრიგად, მომავალმა კანცლერმა ბავშვობა და ახალგაზრდობა აღმოსავლეთ გერმანიაში გაატარა, მაშინდელი „გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში“.

მასწავლებლები და თანაკლასელები ანგელას ახასიათებენ, როგორც ბეჯით და ნიჭიერ გოგონას, რომელიც განსაკუთრებულ ინტერესს იჩენდა მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო საგნების მიმართ. იმავე დროს მონდომებით სწავლობდა უცხო ენებსაც - ინგლისურს და რუსულს. ენების მიმართ მისი დაინტერესება სავარაუდოდ განაპირობა იმანაც, რომ ანგელას დედა - ჰერლინდი ინგლისური და ლათინური ენების მასწავლებელი იყო. მომავალ კანცლერზე, ალბათ, არანაკლებ გავლენას ახდენდა მამის პროფესიაც, მაგრამ ისიც ცხადია, რომ მაშინდელი აღმოსავლეთ გერმანიისთვის დამახასიათებელ გარე-მოში პასტორის ქალიშვილი რე-ლიგიის მიმართ მიდრეკილებას აშკარად ვერ გამოავლენდა. პირიქით - ოპონენტები „თავისუფალი გერმანიის ახალგაზრდობის“ წევრობასაც უხსენებენ, თუმცა გდრ-ელი ახალგაზრდებისთვის ეს ისეთივე დამახასიათებელი რამ იყო, როგორც კომკავშირის წევრობა საბჭოთა კავშირში.

სკოლის დამთავრების შემდეგ ანგელა კასნერმა სწავლა განაგრძო ლაიპციგის უნივერსიტეტში, ფიზიკის ფაკულტეტზე. აქვე გაიცნო პირველი მეუღლე - ულრიხ მერკელი, თუმცა მათი ქორწინება მხოლოდ ხუთ წელიწადს გაგრძელდა. 1978 წელს ანგელა მერკელი გადავიდა ბერლინში, მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკური ქიმიის ცენტრალურ ინსტიტუტში. 1986 წელს მას მიენიჭა დოქტორის ხარისხი. 80-იან წლებში ახალგაზრდა მეცნიერი სისტემატურად აქვეყნებდა ნაშრომებს და არაფრით ამჟღავნებდა ინტერესს პოლიტიკის მიმართ, მისი ცხოვრებაც და მეცნიერული მოღვაწეობაც სავსებით აპოლიტიკური იყო.

1989-1990-იანი წლების საკვანძო მოვლენები - ბერლინის კედლის დანგრევა და გერმანიის გაერთიანება ასევე გარდამტეხი აღმოჩნდა დოქტორი მერკელისთვისაც და ახალგაზრდა ფიზიკოსის პოლიტიკით დაინტერესება გამოიწვია. 1989 წელს იგი გაწევრიანდა ახლად დაარსებულ აღმოსავლეთ გერმანულ პარტიაში, რომელსაც „დემოკრატიული აღორძინება“ ერქვა და რომელიც 1990 წელს ქრისტიან-დემოკრატიულ გაერთიანებას შეუერთდა. იმავე წელს ანგელა მერკელი აირჩიეს ბუნდესტაგის წევრად. გაერთიანებისთვის თვალ-საჩინო წევრი იყო აღმოსავლეთ გერმანელი ქალი პოლიტიკოსი, დოქტორი მერკელი და კანცლერ ჰელმუტ კოლის ყურადღებაც დაიმსახურა (ამიტომაც შეარქვეს მეტსახელი „კოლის გოგონა“). ის ჯერ ქალთა და ახალგაზრდობის მინისტრად დაინიშნა, შემდეგ კი, გარემოს დაცვისა და ბირთვული უსაფრთხოების მინისტრად დააწინაურეს. 1998 წლის არჩევნებში კოლი დამარცხდა, ხოლო ოპოზიციაში გადასულმა ქრისტიან-დემოკრატებმა ძირეული რეფორმები გაატარეს, რის შედეგადაც პარტიის გენერალურ მდივნად აირჩიეს ანგელა მერკელი.

2005 წლის არჩევნებში პირველ ადგილზე ქრისტიან-დემოკრატები გავიდნენ, თუმცა ისინი მხოლოდ ერთი პროცენტით აჭარბებდნენ სოციალისტებს. საჭირო გახდა კოალიციის ჩამოყალიბება, რომ-ლის დელეგატებმაც კანცლერად აირჩიეს ანგელა მერკელი - პირველი ქალი კანცლერი გერმანიის ისტორიაში. ეს იყო ახალი ეპოქის დასაწ-ყისი არა მხოლოდ გერმანიისთვის, არამედ მთელი ევროპისთვის.

უკვე ათი წელია, რაც ანგელა მერკელი გერმანიის კანცლერის მოვალეობას ასრულებს. მასში ხედავენ გერმანელებისთვის დამახასიათებელ არაერთ ღირსებას: შრომისმოყვარეობას, სიმტკიცეს, რაციონალიზმს და ორგანიზებულობას. ასევე აღნიშნავენ მის მოკრძალებულობას: გერმანიის კანცლერი და ევროპის წამყვანი პოლიტიკოსი ცხოვრობს არა სპეციალურ რეზიდენციაში, არამედ საკმაოდ მოკრძალებულ ბინაში, მუზეუმების კუნძულის მახლობლად. 2013 წელს ის ზედიზედ უკვე მესამედ აირჩიეს გერმანიის კანცლერად.

ისიც უნდა ითქვას, რომ ანგელა მერკელს ბევრი აკრიტიკებს და არაერთი ოპონენტი ჰყავს ქვეყნის შიგნითაც. აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია მისმა პოლიტიკამ საბერძნეთის კრიზისის მიმართ. მას აკრიტიკებენ აგრეთვე საემიგრაციო პოლიტიკის გამოც, განსაკუთრებით ბოლოდროინდელი მოვლენების ფონზე. შესაბამისად, ანგელა მერკელს არცთუ იშვიათად უწევს ხოლმე რთული და, ზოგჯერ, არაპოპულარული გადაწყვეტილების მიღება.

ხსენებული საკითხები ძალზე მნიშვნელოვანია არა მხოლოდ გერმანიისთვის, არამედ ევროპისთვის და, ზოგადად, მსოფლიო პოლიტიკისთვის. ამიტომაც, გერმანია და მისი კანცლერი არაერთხელ მოხვდა მსოფლიოს ყურადღების ცენტრში. „წლის ადამიანად“ მისი დასახელებაც ამასვე ადასტურებს.

ღარიბაშვილი: საქართველოს მთავრობა მზად არის გარემოს დასაცავად ოთმაბი ძალისხმევა გაიღოს

ანა ღომთაძე (აშშ)

ეაერთიანებული ერების ორგანიზაციის კლიმატის ცვლილების კონფერენცია, COP 21, იგივე CMP 11, საფრანგეთში, პარიზის მახლობლად 30 ნოემბრიდან 11 დეკემბრამდე ჩატარდა. კონფერენციის მიზანი იყო სავალდებულო და საყოველთაო შეთანხმების მიღწევა კლიმატის ცვლილებებთან დაკავშირებით, რომელიც 2020 წლამდე უნდა განხორციელდეს. დოკუმენტი ითვალისწინებს სათბური აირების გამონაბოლქვის რაოდენობის 40%-დან 70%-მდე შემცირებას 2050 წლისთვის, რაც ექსპერტების აზრით, მნიშვნელოვანი ნაბიჯია სერიოზული კლიმატური ცვლილებებით გამოწვეული უბედურებების თავიდან ასარიდებლად.

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა პარიზში გამართულ კონფერენციაზე 150 ქვეყნის წარმომადგენელს სიტყვით მიმართა და განაცხადა, რომ საქართველოს მთავრობა მხარს უჭერს მსოფლიოს კლიმატური ცვლილებებით გამოწვეული პრობლემების აღმოფხვრაში. ხელმოწერილი ხელშეკრულების მიხედვით, სახელმწიფო ვალდებულია 2030 წლისთვის სათბური აირების გამონაბოლქვი 15%-დან 25%-მდე შეამციროს.

„კლიმატური ცვლილებებით გამოწვეული შესაძლო უარყოფითი გავლენა საქართველოს ეკოსისტემასა და ეკონომიკაზე უბიძგებს ქვეყანას შეამციროს გამონაბოლქვი და გაზარდოს ძალისხმევა პრობლემების აღმოსაფხვრელად ამ დარგში“, -აღნიშნა თავის გამოსვლაში პრემიერ-მინისტრმა. კლიმატის ცვლილება საქართველოსთვის განსაკუთრებით მტკივნეული საკითხია. მეტეოროლოგიური სადგურების სტატისტიკა გვიჩვენებს, რომ შეიმჩნევა ტემპერატურის მატება როგორც დასავლეთ, ასევე, აღმოსავლეთ საქართველოში, რაც გახშირებულ წვიმებში აისახება. ამ მიმართულებით კვლევამ გამოავლინა სენსიტიური რეგიონები: შავი ზღვის სანაპირო, სადაც ზღვის დონემ აიწია და გაზრდილია შტორმების შესაძლებლობა; ქვემო სვანეთის რეგიონი, სადაც არსებობს ნიადაგის ეროზია და გაზრდილია ისეთი ბუნებრივი კატასტროფების სიხშირე, როგორებიცაა წყალდიდობა, მეწყერი, ზვავი, დიდთოვლობა; დედოფლისწყაროს რაიონი, სადაც გაზრდილია გაუდაბნოება.

სტატისტიკის მიხედვით, აღნიშნულ პირობებში საქართველო მიდრეკილი გახდა ბუნებრივი კატასტროფების მიმართ. შესაბამისად, ძლიერი და ხანგრძლივი წვიმები, მეწყერი, წყალდიდობა, ზვავი, მდინარეების ადიდება და კალაპოტიდან გადმოსვლა, გრიგალი და ქარი გახშირდა. ზღვის დონის აწევამ გააძლიერა შტორმი და გამოიწვია სანაპიროს ეროზია, რამაც ზიანი მიაყენა სანაპირო ზოლსა და ინფრასტრუქტურას.

„საქართველოში კლიმატის ასეთი ცვლილება გამოწვეულია მისი რელიეფური მდებარეობის გამო- მაღალმთიანი ტოპოგრაფია, წყლის რესურსები და ზღვის სიახლოვე. ყოველივე ეს უარყოფითად აისახება სამეურნეო მიწაზე და იწვევს მისი მოსავლიანობის შემცირებას, შედეგად, მსგავსი ტიპის ბუნებრივი კატასტროფები მნიშვნელოვნად აზარალებს ქვეყნის ეკონომიკას. გავიხსენებ ივნისში ჩვენს დედაქალაქში მომხდარ წყალდიდობას, რომელმაც 19 ადამიანის სიცოცხე შეიწირა და გაანადგურა თბილისის ცენტრი. კეთდება პროგნოზები, რომ მომავალში უფრო დრამატული ცვლილებებია მოსალოდნელი თუ დღესვე არ დავიწყეთ მოქმედება“,- განაცხადა საქართველოს პრემიერმა პარიზის კონფერენციაზე.

სიტუაციის გამოსასწორებლად რამდენიმე ნაბიჯი უკვე გადაიდგა. საქართველოს ჰიდროენერგეტიკა ქვეყანას საშუალებას აძლევს ისარგებლოს კლიმატური ცვლილებებით და განაახლოს ელექტროენერგია, რაც ქვეყნის ელექტროენერგიის 80% შეადგენს. საქართველოს მთავრობა ამჟამად მუშაობს გრძელვადიან სტრატეგიაზე, რისი მიზანიცაა კლიმატის ცვლილებებით პროდუქტიული გარემოს შექმნა და გამონაბოლქვის შემცირება. ასევე, დონორების დახმარებით დამუშავების პროცესშია ეროვნული გეგმა, რომელიც ითვალისწინებს უზრუნველყოს მდგრადი ურბანული ტრანსპორტის, საჯარო შენობებში ელექტროეფექტურობის, ენერგო-ღუმელებისა და სოფლებში მზის სისტემის განვითარება. მთავრობა ასევე მუშაობს ეროვნულ სატყეო პოლიტიკის შემუშავებაზე, რაც გააუმჯობესებს სატყეო მენეჯმენტსა და ხელს შეუწყობს ტყის განაშენიანებას. საქართველოს ეკონომიკის სამინისტრო ამჟამად მუშაობს ენერგიის ეფექტიანობის გაზრ-დის სამოქმედო გეგმაზე, რომელიც ფოკუსირებულია განახლებადი ენერგიის წყაროების გამოყენებაზე.

იმისთვის, რომ კლიმატის ცვლილებების კუთხით გადავდგათ პროგრესული ნაბიჯები და შევასრულოთ უწყვეტი განვითარების სტრატეგია განვითარებად ქვეყნებს, როგორიც საქართველოა, საერთაშორისო პარტნიორებისგან ფინანსური მხარდაჭერა ჭირდება, რადგანაც ამ პროცესის განვითარება დიდ ხარჯებს უკავშირდება.

„ცხადია, GCF-ის ფონდის დაფინანსება მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს განვითარებადი ქვეყნების წარმატებას კლიმატის ცვლილებების კუთხით დასახული მიზნების მიღწევაში“, - აღნიშნა ირაკლი ღარიბაშვილმა.

გასაკვირი არაა, რომ შეთანხმების მიღწევამდე მონაწილეებს შორის დიდი დებატები გაიმართა. განვითარებადი ქვეყნები მოითხოვენ დაფინანსებას კლიმატური ცვლილებებით გამოწვეული პრობ-ლემების აღმოსაფხვრელად და გამონაქბოლქვის შესამცირებლად. როგორც ცნობილია, 2020 წლამდე მათთვის 100 მლდ. დოლარია გამოყოფილი.



IBSU

2016 საკოლო ოლიმპიადა

საქართველოს ვიზა ლიბერალიზაციის პროცესი აფხაზეთისა და ოსეთის ყურადღებას იპყრობს?!

თამარ ჩაფიძე

აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში მცხოვრები მოსახლეობის ინტერესი ქართული პასპორტების მიმართ, საქართველოს ევროკავშირთან ვიზალიბერალიზაციის პროცესის მიმდინარეობის ფონზე იზრდება.

საქართველოს მთავრობამ მზადყოფნა გამოხატა აფხაზ და ოს ხალხს ყველა ის სარგებელი შესთავაზოს, რაც ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებით მიიღო. ჯერ კიდევ რიგის სამიტამდე, ხელისუფლება იმედოვნებდა, რომ მოქალაქეების უვიზოდ გადაადგილება ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში, მიმზიდველი ფაქტი გახდებოდა კონფლიქტის ზონაში მცხოვრებთათვის, რომელთა არალეგალურ დოკუმენტებს საერთაშორისო საზოგადოება არ სცნობს.

„საქართველო მალე მიიღებს ევროპასთან უვიზო მიმოსვლის რეჟიმს და ჩვენ ვთავაზობთ აფხაზ და ოს ხალხს საქართველოს პასპორტებით იმოგზაურონ ევროპაში. ასევე, ვთავაზობთ მათ კარგ განათლებას, უკეთეს სოციალურ პირობებსა და თავისუფლებას, იცხოვრონ ჩვენთან ერთად უკეთეს ქვეყანაში", -განაცხადა საქართველოს პრემიერ მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა 2014 წელს აშშ-ში, კოლუმბიის უნივერსიტეტში გამოსვლისას.

ნიშანდობლივია, რომ საქართველოს ხელისუფლება ცდილობს ე.წ. რბილი ძალის გამოყენებას სეპარატისტული რეგიონების მიმართ. კონფლიქტის ზონაში მცხოვრები ახალგაზრდებისთვის ღიაა ქართული საგანმანათლებლო დაწესებულებების კარი. მათ შეუძლიათ უმაღლეს სასწავლებლებში უფასოდ სწავლა, ასევე, მოქმედებს რამდენიმე სხვა სახის შეღავათი.

აფხაზებსა და ოსებს შეუძლიათ ქართულ კლინიკებში მიიღონ სამედიცინო დახმარება. სეპარატისტული რეგიონებიდან საქართველოში სამკურნალოდ რამდენიმე მიზეზით შემოდიან: დეფაქტო აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში არ არსებობს თანამედროვე კლინიკები, საქართველოში სამედიცინო მომსახურების დონე შედარებით მაღალია და მათ შესაძლებლობა აქვთ თითქმის უფასოდ გაიარონ მკურნალობის კურსი.

ოსი მოსახლეობა ადგილობრივი დე-ფაქტო მთავრობისგან წინააღმდეგობასაც აწყდება. დეფაქტო პრეზიდენტი ლეონიდ თიბილოვი მსგავსი პრაქტიკის შეწყვეტის აუცილებლობაზე ალაპარაკდა. იგი ცდილობს, პაციენტებს გზა რუსეთისკენ გაუხსნას, ამისთვის სპეციალური განკარგულებაც გამოსცა, რომლის მიხედვითაც ოსი პაციენტები რუსეთის საავადმყოფოებში დროულად უნდა გადაიყვანონ. მოსახლეობისთვის კი უფრო ხელსაყრელი თბილისსა და საქართველოს სხვა ქალაქებში მკურნალობაა.

ქართული მხარე სეპარატისტულ რაიონებში მცხოვრებლებს გაცილებით მეტს სთავაზობს, ვიდრე უბრალოდ მკურნალობაა. ჯანდაცვის სამინისტრო მზადაა, ოკუპირებული ზონებიდან საქართველოში ექიმების კვალიფიკაციის ამაღლების უზრუნველყოფა საკუთარ თავზე აიღოს.

აღნიშნულის ფონზე, საქართველოს ევროკავშირთან ვიზალიბერალიზაცია კიდევ ერთი სტიმულია აფხაზი და ოსი მოსახლეობისთვის, დაინტერესდნენ საქართველოსთან თანამშრომლობით.

„აფხაზურ და ოსურ საზოგადოებასთან მაქვს მჭიდრო კონტაქტი და ვიცი, რომ ვიზალიბერალიზაციას ელოდებიან, რა-თა ეს სიკეთე მათაც მიიღონ. ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობისგან წელიწადში საქართველოს პასპორტს 300-400 ადამიანი იღებს, მათი რიცხვი კიდევ უფრო გაიზრდება საქართველო-ევროკავშირს შორის უვიზო რეჟიმის ამოქმედების შემთხვევაში", აღნიშნა სახელმწიფო მინისტრმა შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის დარგში, პაატა ზაქარეიშვილმა.

ცალსახად აშკარაა, რომ საქართველოს ევროკავშირთან ინტეგრაციის გზაზე წარმატება დადებითად აისახება ქართულ-აფხაზურ და ქართულ-ოსურ ურთიერთობებზე. თუმცა საკამათოა, რამდენად შეიძლება დაიძრას გაყინული კონფლიქტების პრობლემის მშვიდობიანი გზით მოგვარების საკითხი. აღნიშნულ კონტექსტში ხშირად იშველიებენ მოლდოვის მაგალითს.

მოლდოვამ ევროკავშირთან უვიზო მიმოსვლის რეჟიმი 2014 წლის 28 აპრილს მიიღო, რამაც საგრძნობლად გაზარდა დნესტრისპირეთში მცხოვრებთა ინტერესი მოლდოვის პასპორტების მიმართ. მთლიანობაში, სეპარატისტულ რეგიონში მცხოვრებლების 77,000 ფლობს მოლდოვის ბიომეტრიულ პასპორტს. 2014 წლის აპრილიდან დაახლოებით 27, 000-მა მოითხოვა მოლდოვის ბიომეტრიული დოკუმენტი. უნდა ითქვას, რომ თავად მოლდოვის მცხოვრებლები აქტიურად განაგრძობენ რუმინული პასპორტების მიღებას, ვინაიდან ისინი ინტერესდებიან უფრო მეტად ევროკავშირის ტერიტორიაზე მუშაობით, ვიდრე იქ სამთვიანი მოგზაურობით.

მოლდოვის ბიომეტრიული პასპორტების სტატისტიკა მეტყველებს იმაზე, რომ თავისუფალი სავიზო რეჟიმი დადებითად აისახება კონფლიქტურ რეგიონებთან რეინტეგრაციის პროცესში. რამდენად მოიტანს ვიზა ლიბერალიზაცია მოლდოვის მაგალითის მსგავს შედეგს საქართველოს გაყინულ კონფლიქტებთან მიმართებაში, ღია კითხვად რჩება. საქართველოს მთავრობა იმედოვნებს, რომ ეს პროცესი რაღაც დოზით აუცილებლად იქონიებს გავლენას აფხაზ და ოს ხალხზე.

საქართველოს პარლამენტის მიერ 10 დეკემბერს მიღებულ ევროსტრუქტურებისადმი მიმართვაში ნათქვამია, „ევროკავშირის წევრ ქვეყნებთან უვიზო რეჟიმის დაწესება ხელს შეუწყობს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების მოსახლეობას- აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის მცხოვრებთა რეინტეგრაციასა და კეთილდღეობას, ამასთანავე, ცხადყოფს ევროკავშირთან პარტნიორობის ნაყოფიერ შედეგებს და ევროპული არჩევანის უდავო სარგებელს".

საყურადღებოა, ისიც, რომ ვიზა ლიბერალიზაციის პროცესში შესაძლებელია საოკუპაციო საზღვრების კონტროლის მხრივ გარკვეული დაბრკოლებები შეიქმნას. თუმცა, დასავლეთმა კარგად უწყის, რომ რუსეთის მხრიდან სეპარატისტული მთავრობების დახმარების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი აღმოსავლეთ სამეზობლოს ქვეყნების ევროინტეგრაციის პროცესის შეფერხებაა. ამდენად, შესაბამისი საიმიგრაციო სქემის მომზადების პირობებში, ევროპის ინტერესებში შედის, არ შეანელოს ვიზა ლიბერალიზაციის პროცესი.

ქართულ ენერგეტიკაში "გაზპრომის" წილი იზრდება

ბიორბი ჩაფიძე (ბლიცკრიგი)

ლუქსემბურგში „გაზპრომის" აღმასრულებელ დირექტორ ალექსეი მილერსა და საქართველოს ენერგეტიკის მინისტრ კახა კალაძეს შორის 8 დეკემბერს მორიგი შეხვედრა გაიმართა. მხარეებმა „ჩრდილოეთ-სამხრეთის" 221 კილომეტრიანი მილსადენის საკითხი განიხილეს, რომელიც საქართველოს გავლით, სომხეთს ბუნებრივი აირით ამარაგებს. გაზსადენის სატრანზიტო ღირებულება, მთლიანი მოცულობის 10%, საქართველოს რჩება. განსახილველ საკითხებში აგრეთვე შედიოდა, საქართველოსთვის კომერციული მიწოდების გაზრდა და სატრანზიტო კონტრაქტის გახანგრძლივება.

მინისტრის განცხადებით, გაზპრომის წარმომადგენლობის მხრიდან იყო მინიშნება, ირანის გავლით სომხეთისათვის გაზის მიწოდებაზე, რაც საქართველოს ინტერესებისთვის საზიანო იქნება, რადგან სატრანზიტო საფასურს, მთლიანი გატარებული მოცულობის 10 %-ს, დაკარგავს. თუკი საქართველო გამტარ ქვეყანად დარჩება, სომხეთის მზარდი მოთხოვნის გათვალისწინებით, მეტ გაზს მიიღებს სატრანზიტო ღირებულების სახით, რადგან სომხეთის მოთხოვნის გაზრდა პირდაპირპროპორციულად აისახება საქართველოს წილზე. ბოლო 3 თვეში ეს კალაძისა და მილერის რიგით მესამე შეხვედრაა. გაზპრომთან ახალ ხელშეკრულებაზე მოლაპარაკების დასრულება კი დეკემბრის ბოლოსთვის იგეგმება.

ენერგეტიკის სამინისტროს მონაცემებით, 2014 წლისთვის აზერბაიჯანული გაზი საქართველოს მთლიანი გაზმომარაგების (2.17 მილიარდი კუბური მეტრი) 87,1 %-ს შეადგენდა, ხოლო რუსეთიდან 267.7 მილიონი კუბური მეტრი შემოვიდა (12,3 %), დარჩენილ 0,6 % კი სხვა წყაროებზე მოდის. მსგავსი ტენდენცია შენარჩუნდა 2015 წელსაც.

კალაძის განცხადებით, 2012 წლის შემდეგ გაზზე მოთხოვნა 27%-ით გაიზარდა და 2015 წელს დაახლოებით 2.5 მილიონ კუბურ მეტრს მიაღწია. მისივე თქმით, გაზრდილ მოთხოვნაზე საპასუხოდ საქართველოს იმპორტის მოცულობის გაზრდა აზერბაიჯანიდან არ შეუძლია, რის გამოც გაზპრომთან თანამშრომლობა ერთადერთ ვარიანტად განიხილება. საქართველოს ენერგეტიკულ რესურსებზე მოთხოვნის მუდმივად ზრდის პირობებში, მინისტრის განცხადებით, იმპორტის წყაროების დივერსიფიცირება საჭიროა მინიმუმ 2019 წლამდე, სანამ აზერბაიჯანული „შაჰ დენიზ II" გაზსადენი შევა ექსპლუატაციაში.

ქართული მხარე ბაზარზე დეფიციტის წარმოქმნის თავიდან აცილებას, რუსული გაზის იმპორტის გაზრდით გეგმავს. „გაზპრომთან" თანამშრომლობის შესაძლო გაღრმავების საკითხს საქართველოში არაერთგვაროვანი რეაქციები მოჰყვა. განსაკუთრებით ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენელთა მხრიდან, რომლებიც ქართული ოცნების მინისტრთა კაბინეტს, ამგვარი შეთანხმების განხილვის გამო, სახელმწიფოს ღალატში ადანაშაულებენ.

„გაზპრომის" გაზზე დამოკიდებულების ზრდამ საქართველოს, შესაძლოა, შემდეგი უარყოფითი შედეგები მოუტანოს - 1) გაზპრომთან თანამშრომლობის გაზრდა საქართველოს სტაბილური ენერგო პარტნიორის, აზერბაიჯანის, უკმაყოფილებას გამოიწვევს - კალაძის განცხადებისაგან განსხვავებით, აზერბაიჯანული მხარე ამტკიცებს, რომ შეუძლია საქართველოს მზარდი მოთხოვნის დაკმაყოფილება; 2) რუსული გაზის გაზრდილი წილი საფრთხეს წარმოადგენს ქართული ენერგოუსაფრთხოებისათვის ;

ცალკე განსახილველი საკითხია შესაძლებლობა, რომ რუსეთმა მხოლოდ ირანის გავლით განახორციელოს გაზის იმპორტი სომხეთში. მითუმეტეს, გაზპრომი გეგმავს სომხეთის ერთადერთი ალტერნატიული გაზმომარაგების წყაროს, „ირან-სომხეთის" მილსადენის, სრულ შესყიდვას. ამ შემთხვევაში საქართველო დაკარგავს საკუთარ 10%-იან წილს „ჩრდილოეთი-სამხრეთის" ნაკადიდან და, თუკი დეფიციტს აზერბაიჯანული გაზით არ აღმოფხვრის, ამავე რაოდენობის შეძენა კვლავ გაზპრომიდან მოუწევს.

კახა კალაძის განცხადებით, საქართველომ უნდა მოახდინოს გაზის იმპორტის წყაროებისა და მარშრუტების დივერსიფიკაცია, რათა ბაზარზე კონკურენციის არსებობით ხელსაყრელ ფასს მიაღწიოს. იმპორტის წყაროს დივერსიფიკაციისათვის კი, უპირველესად, რუსეთი განიხილება, აგრეთვე არსებობს ირანთან თანამშრომლობის შესაძლებლობაც, რაც საქართველოს დასაყრდენ აზერბაიჯანულ მხარეს დამატებით კითხვებს უჩენს. მით უმეტეს, ალიევი საქართველოს პრეზიდენტთან შეხვედრაზე აღნიშნავს, რომ აზერბაიჯანს მეზობლების მოსამარაგებლად 100 წლის სამყოფი რესურსები აქვს, ხოლო „SOCAR"-ის წარმომადგენლობის თქმით, აზერბაიჯანულ ენერგოკომპანიას საქართველოს გაზრდილი მოთხოვნის დაკმაყოფილებაც შეუძლია.

გაზპრომთან მოლაპარაკებების პარალელურად, ქართულ მხარეს სჭირდება მტკიცება, რომ აზერბაიჯანი რჩება მის ნომერ პირველ ენერგო პარტნიორად. გიორგი მარგველაშვილმა ილჰამ ალიევთან შეხვედრისას განაცხადა, რომ „ჩვენი ურთიერთობები ყოველგვარ გამოცდას გაუძლებს", ორ მხარეს არ აქვს განსხვავებული თვალთახედვა ქვეყნებს შორის ენერგო ტრანზიტის თაობაზე.

მართალია, რუსული გაზის წილის მატებით ქართულ ენერგეტიკაში ხდება იმპორტის წყაროების დივერსიფიკაცია, თუმცა, ამავდროულად, იზრდება რუსეთზე ენერგო დამოკიდებულებაც. რუსული კომპანიების გაზრდილი წილი კი ქვეყნის ენერგო სექტორის სტაბილურობისთვის საფრთხის შემცველია. ვინაიდან, რუსეთი სახელმწიფო ენერგო კომპანიებს, განსაკუთრებით გაზპრომს, იყენებს, როგორც საგარეო პოლიტიკური მანევრირების იარაღს, როგორც ეს მოხდა 2006 წლის ზამთარში, როდესაც საქართველოს მთავრობის პოლიტიკით უკმაყოფილო კრემლმა ქვეყანას გაზმომარაგება შეუწყვიტა. ამის შემდეგ საქართველომ მოახერხა რუსეთისაგან დამოუკიდებელი სტაბილური მომარაგების უზრუნველყოფა, მეტწილად აზერბაიჯანის დახმარებით. თუმცა, რუსეთზე გაზდამოკდებულების გაზრდის შემთხვევაში კრემლის ენერგო კომპანიის იმპორტის უეცარი შეწყვეტა პოლიტიკური მოტივებით ქართულ ენერგოსისტემაში დეფიციტს გამოიწვევს.

აღსანიშნავია, რომ ერთი წლის წინ „როსნეფტმა" ქართული მხარისგან აგრეთვე პირდაპირ საკუთრებაში მიიღო „Petrocas Energy Group"-ის 49%-იანი წილი, რომლის საკუთრებაშია სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე ფოთის პორტის ნავთობტერმინალი. ფოთის დიდი ტევადობის ტერმინალის ნაწილის ფლობა, რუსეთს საშუალებას აძლევს, სამხრეთ კავკასიის ნავთობის ბაზარზე საკუთარი გავლენა გაზარდოს.

იმის ფონზე, რომ ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მმართველობის დროს რუსულმა კომპანიებმა შეისყიდეს ქართული ენერგოსექტორის მნიშვნელოვანი წილი, მაგალითად, „თელასის" 75%, ჰიდროელექტროსადგურები - ხრამი I და II, რუსული კომპანიების როლის კიდევ უფრო ზრდა ქართულ ენერგო-სივრცეში ეროვნული ინტერესებისთვის საფრთხის შემცველია.

შესაბამისად, ქართულ მხარეს აქვს ვალდებულება, გაითვალისწინოს, რომ კრემლი რუსულ კომპანიებს სამხრეთ კავკასიის რეგიონში პოლიტიკური გავლენის გასაზრდელად იყენებს და ყურადღებით მოეკიდოს მომდევნო გარიგებებს, რათა საფრთხე არ შეექმნას ქვეყნის ენერგოუსაფრთხოებას.

ფოთის თავისუფალი ინდუსტრიული ზონა ახალი ინვესტიციების განხორციელებას ბებმავს

ნინო შუაქაშიძე

საქართველოს მთავრობასა და რას ალ ხაიმას საინვესტიციო სააგენტოს შორის 2008 წლის 11 აპრილის ხელშეკრულებისა და საქართველოს მთავრობის 2009 წლის 14 აპრილის #72 დადგენილების თანახმად ქ. ფოთში, ნავსადგურის ყოფილი ექსტენსიური განვითარების ზონის ტერიტორიაზე (3 046 037 კვ.მ. მიწის ნაკვეთი) 99 წლის ვადით შეიქმნა ფოთის თავისუფალი ინდუსტრიული (თიზ-ი) ზონა, რომელიც ექსპლოატაციაში 2010 წლის 15 ნოემბერს შევა.

მას შემდეგ თავისუფალი ინდუსტრიული ზონების საკითხი ქვეყანაში აქტიურად განიხილება და როგორც ყველა მსხვილ პროექტს, მასაც გამოუჩნდნენ მომხრე და მოწინააღმდეგე მხარეები.

უცხოელმა ექსპერტებმა კვლევების საფუძველზე თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში წარმოება საგადასახადო სარგებლიანობის კუთხით პოზიტიურად შეაფასეს.

„მთლიანი დანაზოგები მეტად მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით კი იმ კომპანიებისათვის, რომლებსაც დიდი ოდენობით საწარმოო მასალები ჩამოაქვთ (საბაჟო გადასახადის დანაზოგების მხრივ), ასევე ექსპორტზე ორიენტირებული ქვეყნებისათვის, როგორც პოტენციური დღგ-ს სარგებლიანო -ბისათვის“, - აღნიშნულია ჯორჯ ველტონის და სტეფანი კომსას ანგარიშში.

ქართველი ანალიტიკოსების აზრით ზონებმა ვერ გაამართლეს ხარისხობრივი, ისევე როგორც, რაოდენობრივი მაჩვენებლებით. ისინი განვითარების დაგეგმილ ფაზებს საგრძნობლად ჩამორჩებიან.

თიზ-ის გენერალური დირექტორის მოადგილე დავით ჯეგაშვილი გაკრვეულწილად იზიარებს ექსპერტების ხედვას, თუმცა განმარტავს, რომ ერთგვარი ჩამორჩენა სხვადასხვა ფაქტორებმა განაპირობა, მათ შორის ეკონომიკურმა კრიზისმა და რეგიონში შექმნილმა პოლიტიკურმა დაძაბულობამ.

„კომპანიისთვის გარე ფაქტორები მთავარი გამოწვევაა. თიზ-ის პარტნიორ ქვეყნებს: თურქეთს, რუსეთს, უკრაინას, აზერბაიჯანს, სომხეთსა და ამასთან, შუა აზიას ფინანსური პრობლემები აქვთ, ხოლო დანარჩენი ქვეყნები პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობით გამოირჩევიან“, - აცხადებს ჯეგაშვილი.

მიუხედავად აღნიშნული სირთულეებისა, კომპანია ვითარდება, ყოველწლიურად მატულობს განხორციელებული პროექტები და შესაბამისად მოგებაც.

ფოთის თიზ-ის დაარსების დღიდან 2015 წლის ოქტომბრის ჩათვლით განხორციელებულია 27 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის ინვესტიცია. ამას ემატება ინვესტორი კომპანიების მიერ განხორციელებული ინვესტიციაც, რაც 2015 წლის ოქტომბრის მდგომარეობით დაახლოებით 17 მილიონ აშშ დოლარს შეადგენს. 2015 წლის 5 ნოემბრის მდგომარეობით, ფოთის თიზ-ში ფუნქციონირებს 85 კომპანია, რომელთა დაახლოებით 80% დაკავებულია იმპორტექსპორტით, საერთო დასაქმებულთა რაოდენობა კი შეადგენს 380-ს.

თიზ-ში რეგისტრირებული კომპანიები ახორციელებენ შემდეგი ტიპის საქმიანობებს: ხორც-პროდუქტების გადამუშავება, მშრალი ტვირთების/ნავთობის სასაწყობე ტერმინალი და საავტომობილო სატვირთო მისაბმელების სარკინიგზო გადასაზიდი პლატფორმის წარმოება, პარფიუმერული დანამატების წარმოება; ავტომანქანის სათადარიგო ნაწილებით, ელექტრო საქონლით, ფარმაცევტული საქონლით, მეორადი ტანსაცმლით, ნავთობპროდუქტებით ვაჭრობა; სპირტით წარმოება და ვაჭრობა, მეტალო სახურავების, სამშენებლო მეტალო კონსტრუქციების წარმოება; სასაწყობე მეურნეობა და ნარჩენი პლასტმასის გადამუშავება.

ფოთის თავისუფალი ინდუსტრიული ზონა სრულ საგადასახადო შეღავათებს სთავაზობს იმ კომპანიებს, რომელიც საქმიანობას განახორციელებს ზონის ფარგლებში. თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში რეგისტრირებული კომპანიები, განთავისუფლებულნი არიან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ყველა საგადასახადო ვალდებულებისგან, მათ შორის მოგების, ქონების, საბაჟო და დამატებითი ღირებულების გადასახადისაგან (დღგ).

დავით ჯეგაშვილის თქმით, ფოთის ტერიტორია თიზ-ისთვის სპეციალურად სტრატეგიული და ლოჯისტიკური მდებარეობიდან გამომდინარე ფოთის პორტის მიმდებარე ტერიტორიაზე იქნა შერჩეული, რას ხელს უწყობს ტვირთების უმოკლეს ვადაში მიწოდებას.

კომპანიის დირექტორის მოადგილე აღნიშნავს, რომ მთავარი ფაქტორები, რაც უცხოელ ინვესტორებს იზიდავთ ეს არის ადგილმდებარეობა, როგორც ევროპისა და აზიის დამაკავშირებელი კერა, აბრეშუმის გზის ტერიტორია და მეორეს მხრივ, გადასახადებისგან განთავისუფლების სტატუსი. „უცხოელ ინვესტორებს იზიდავთ საგადასახადო შეღავათები და ბიზნესის მართვის განსაკუთრებული სიმარტივე, რომელითაც სარგებლობენ თიზ-ში რეგისტრირებული კომპანიები. ამ ფაქტორებმა თავდაპირველად გამოიწვია ემირატებში დაფუძნებული კომპანიების დაინტერესება, რომელსაც შემდგომში მოჰყვა ინვესტიციების შემოდინება აზიის დანარჩენი ქვეყნებიდან, ევროპიდან და ამერიკის შეერთებული შტატებიდან“.

ჯეგაშვილის თქმით, კომპანიას მომავალ წელს ინფრასტრუქტურის მოსაწყობად დაგეგმილი აქვს ახალი ინვესტიციების განხორციელება. გარდა ამისა, თიზ-ში რეგისტრირებული კომპანიები არაერთ მსხვილ ინვესტიციას გეგმავენ, მაგალითად ბრიტანული კომპანია AG Terminal System გეგმავს ერთ-ერთ ყველაზე მსხვილ პროექტს საქართველოში, 40 000მ2 სასაწყობე მეურნეობის მოწყობის სახით, ფართოვდება სპირტის წარმოება და დაგეგმილია სხვა ახალი პროექტების განხორციელებაც.

შეიძლება თამამად ითქვას, რომ თიზ-ის სრული დატვირთვის შემთხვევაში არამარტო ფოთი, არამედ მთელი რეგიონი იქნება ჩართული მის რეალიზაციაში, რაც ასობით ადამიანს დაასაქმებს და აღნიშნული სარგებელი თითოეულ ოჯახზე აისახება. ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ თიზ-ების ფუნქციონირება არ მოდის წინააღმდეგობაში ევროკავშირის რეგულაციებთან და ქართველი ანალიტიკოსების მიერ გამოთქმული ვარაუდი, რომ თიზ-ის არსებობა ხელს შეუშლის საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანებას, საფუძველს მოკლებულია.

DRC
დავების განმხილველი ცენტრი
DISPUTE RESOLUTION CENTER



DRC - the best Arbitration in Georgia

საქართველო, თბილისი, ვაჟა ფშაველას გამზ.71, 1 სართული. ტელ: 2 207 327
Georgia, Tbilisi, Vaja Pshavela ave. 71, 1 Floor. Tel: 2 207 327
www.drc-arbitration.ge

ისმ გამოინვია ინფლაციის მაჩვენებლის ზრდა საქართველოში

თამთა ასლანიშვილი

საქართველოში ინფლაციის დონემ 6,3 პროცენტი შეადგინა. სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა 3 დეკემბერს ინფლაციის ახალი მაჩვენებელი დაადგინა.

საქსტატში აცხადებენ, რომ წლიური ინფლაციის ფორმირებაზე ძირითადი გავლენა იქონია ფასების ცვლილებამ სურსათსა და უალკოჰოლო სასმელებზე, მედიკა-მენტებზე, ელექტროენერგიასა და გათბობის სხვა სახეებზე.



2015 წლის ნოემბერში, წინა წელთან შედარებით, სურსათსა და უალკოჰოლო სასმელებზე 12-თვიან პერიოდში ფასები გაიზარდა 5,2 პროცენტით. ფასებმა მნიშვნელოვნად მოიმატა ხილსა და ყურძენზე (22,9 პროცენტით), ზეთსა და ცხიმზე (15,3 პროცენტით), ყავაზე, ჩაისა და კაკაოზე (10,2 პროცენტით). ფასები გაზრდილია სამედიცინო პროდუქციის, აპარატურისა და მოწყობილობების ქვეჯგუფებზე 28,3 პროცენტით. ელექტროენერგიაზე, ბუნებრივ აირსა და სათბობის სხვა სახეებზე დაფიქსირდა ფასების 11,2 პროცენტით ზრდა.

ეროვნული ბანკის პროგნოზით, ფასები პროდუქტებზე კიდევ გაიზრდება და იანვარში ყველაზე მაღალ მაჩვენებელს მიაღწევს.

''ინფლაცია მცირედით გადასცდა სამიზნე მაჩვენებელს, ეს პროგნოზირებადი იყო, ამის შესახებ ჩვენ ჯერ კიდევ აგვისტოს მოხსენებებში აღვნიშნავდით. ინფლა-ცია პიკს მიაღწევს, ჩვენი ვარაუდით, მომდევნო წლის პირველ კვარტალში და დაუბრუნდება მაჩვენებელს მომავალი წლის მეორე ნახევრიდან'', -განაცხადა ეროვნული პრეზიდენტმა გიორგი ქადაგიძემ. მისი თქმით, იმ შემთხვევაში, თუ დადგება მონეტარული პოლიტიკის გამკაცრების საჭიროება, ეროვნული ბანკი ამას აუცილებლად გააკეთებს.

ეკონომიკის მინისტრი დიმიტრი ქუმსიშვილი ეთანხმება ეროვნული ბანკის პრეზიდენტს და ამბობს, რომ ''2016 წლის პირველ კვარტალში, სავარაუდოდ, ინფლაციის მაჩვენებელი კიდევ უფრო გაიზრდება, მეორე კვარტლიდან კი უკვე უნდა დაუბრუნდეს მიზნობრივ მაჩვენებელს. მისი თქმით, ყველაზე მეტი ინფლაცია გვაქვს სასურსათო მიმართულებით''.

ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრის პროექტების მენეჯერის, ირინა გურულის, განმარტებით, საქართველოში ინფლაციის სამიზნე მაჩვენებლიდან გადაცდომა ძირითადად განპირობებულია ეროვნული ვალუტის გაუფასურებით, რამაც გამოიწვია იმპორტირებულ პროდუქციაზე ფასების მატება და წარმოების შუალედური ხარჯების გაძვირება. ამასთან, ინფლაციაზე გავლენა იქონია ელექტროენერგიის გადასახადის ერთჯერადმა მატებამ. ეროვნული ბანკის პროგნოზით, ინფლაცია პიკს მომდევნო წლის პირველ კვარტალში მიაღწევს და სამიზნე მაჩვენებელს (5 პროცენტს) მომავალი წლის მეორე ნახევრიდან დაუბრუნდება.

ფასებზე სტაბილურობის შენარჩუნება არის საქართველოს ეროვნული ბანკის პრეროგატივა. ამ მიზნით, ეროვნულმა ბანკმა გაამკაცრა მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი 7,5 პროცენტამდე და საჭიროების შემთხვევაში კიდევ უფრო გაზრდის რეფინანსირების განაკვეთს. მონეტარული კომიტეტის შემდეგი სხდომა გაიმართება მიმდინარე წლის 16 ნოემბერს.

საპარლამენტო უმრავლესობის წევრ თამაზ მეჭიაურის აზრით, ინფლციაზე პასუხისმგებელი არის ეროვნული ბანკი და ეს მისი უშუალო ფუნქციაა. „6 % ჯერ არ არის კატასტროფა და მე უფრო დაველოდები გარეშე ფაქტორების განვითარებას ახლა იმიტომ, რომ ჩვენ დამოკიდებული ვართ არა იმდენად ეკონომიკურ მაჩვენებლებზე, რამდენადაც საგარეო ფაქტორების განვითარებაზე, ამდენად პროგნოზისაგან თავს შევიკავებ", - ამბობს მეჭიაური.

ექსპერტი რომან გოცირიძე, ობსერვერთან საუბრისას, განმარტავს მიზეზებს, თუ რატომ მოხდა ინფლაცია საქართველოში. მისი თქმით, ინფლაცია გამოიწვია, პირველ რიგში, ლარის დევალვაციამ.

„ხელისუფლება ხელს იბანს და ამბობს, რომ ფასები გაიზარდა და ამის გამო დაეცა ლარი. მაშინ უნდა დაისვას შეკითხვა, რამ გამოიწვია ამ შემთხვევაში ლარის დევალვაცია? ლარის დევალვაცია გამოიწვია თანაბარზომიერად, რო-გორც საგარეო ფაქტორებმა, ასევე საშინაო შეცდომებმა, განსაკუთრებით მთავრობის ეკონომიკურმა პოლიტიკამ, რომელიც არ უწყობს ხელს ეკონომიკურ ზრდას, რადგან აწესებს ზედმეტ მარეგულირებელ ნორმებს, რაც იწვევს ბიზნესის შეკუმშვას. ასევე, მთავრობის არასწორი საბიუჯეტო პოლიტიკამ, რომელიც პირდაპირ გავლენას ახდენს ფასების ზრდაზე", - აღნიშნა გოცირიძემ.

ექსპერტის თქმით, ლარი რეალურად ახალი წონასწორობის ნიშნულზე არის გაჩერებული, რაც გამოწვეულია დიდი ოდენობით იმპორტის შემცირებით დაახლოებით 1 მილიარდით. გოცირიძე აღნიშნავს, რომ ბიუჯეტი მთავრობამ სულ რაღაც პირველი ვარიანტის წარდგენიდან ორ კვირაში კიდევ უფრო გააფუჭა, დაუმატა მას არარეალისტური 220 მილიონი ლარის ოდენობის ხარჯები, რაც მომავალში სავარაუდოდ გამოიწვევს ფასების გაზრდას. ბიუჯეტი ეკონომიკური პოლიტიკის სარკეა, რომელიც საფრთხეს უქმნის ქვეყანაში ფინანსურ სტაბილურობას.

ეკონომიკურ პრობლემებს გოცირიძე ენერგეტიკის სფეროში არაკომპეტენტური ადამიანების მუშაობას აბრალებს. „ნაცვალდ იმისა, რომ ახალი ენერგეტიკული ობიექტები შემოსულიყო რეალურად ინვესტორები დავაფრთხეთ. ისინიც კი გასვლას აპირებენ, ვინც ბაზარზე მოქმედებდა. ვგულისხმობ, ამ სადისტრიბუციო ქსელს, სადაც არსებული ტარიფი მათთვის უკვე მიმზიდველი არ არის. უამრავი მსგავსი სხვადასხვა შეცდომის ბრალია ფასების ზრდაც, დევალვაციაც და მოსახლეობის გაღარიბება."

მიუხედავად იმისა, რომ წინა წელთან შედარებით ფასების ცვლლილება 2015 წლის ნოემბერში საკმაოდ საგრძნობია, წინა თვესთან შედარებით ინფლაციის დონემ მხოლოდ 0,3 პროცენტი შეადგინა, ერთი თვის მანძილზე სურსათსა და უალკოჰოლო სასმელებზე ფასები გაიზარდა 0,9 პროცენტით, ხოლო ფასები შემცირდა ხილსა და ყურძენზე -0,4 პროცენტით. ოქტომბერთან შედარებით ფასები ასევე მომატებულია წყალზე, ელექტროენერგიაზე, ბუნებრივ აირსა და სათბობის სხვა საშუალებებზე 1,0 პროცენტით.

ადამიანად დასვლია საქართველოში ადამიანთა უფლებები და თავისუფლებები

ქეთევან ჯიბუტი

ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო დღე ყოველწლიურად 10 დეკემბერს აღინიშნება. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, რომელიც უკვე 65 წელს ითვლის, არ არის იურიდიულად სავალდებულო და მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათს ატარებს, თუმცა მისი დაცვა თითქმის ყველა ქვეყანამ სავალდებულო ნორმების შემცველ საერთაშორისო ჩვეულებით სამართლად აქცია. ამ ფაქტმა კი, მთელი მსოფლიო კიდევ ერთხელ გააერთიანა ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების, როგორც ნებისმიერი დემოკრატიული სახელმწიფოს არსებობისა და შემდგომი განვითარების უმთავრესი ქვაკუთხედის გარშემო.

„ჩვენი უფლებები, ჩვენი თავისუფლებები - ყოველთვის“ - ასე გამოიყურება წლის მთავარი გზავნილი გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის გადაწყვეტილებით. გზავნილის ადრესატი არის ყველა, ვისაც აქვს ამბიცია, მოტივაცია და საშუალება შექმნას ჯანსაღი გარემო მოქალაქის ძირითადი უფლებების დასაცავად, რომელიც უზრუნველყოფს თითოეული მათგანის სრულფასოვან ცხოვრებას და არა მხოლოდ არსებობას.

უდავოა ის, რომ ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები მუდმივ, უზენაეს ღირებულებებს წარმოადგენს. თუმცა მსოფლმხედველობრივი არსით სახელმწიფოს მიერ ხელისუფლების განხორციელებისას ასევე გულისხმობს ერთადერთ სამართლებრივ ბერკეტს. შეზღუდული ძალაუფლების პრინციპის თანახმად, ხელისუფლებას აქვს კანონით შემოფარგლული უფლებამოსილებანი, ხოლო ადამიანს აქვს ყველაფრის უფლება, რასაც კანონი არ კრძალავს. ბუნებრივია, პოსტსაბჭოთა საქართველოსთვის რთული აღმოჩნდა ფეხი აეწყო ცხოვრების დემოკრატიული წესისთვის. ბარიერებისა და სირთულეების მიუხედავად, დღეს ქვეყანა სრულფასოვანი სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების იდეით წინ მიიწევს.

ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების საკითხი ხაზგასმით არის აღნიშნული-საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმების დოკუმენტში. იგი 1000-მდე გვერდს მოიცავს და ითვალისწინებს საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის 300 -მდე სამართლებრივ აქტთან შესაბამისობაში მოყვანას. დოკუმენტის მესამე კარი სრულად მოიცავს თავისუფლების, უსაფრთხოებისა და მართლმსაჯულების საკითხებს. მასში შესულია ნორმები კანონის უზენაესობის, ადამიანის უფლებათა და ფუნდამენტურ თავისუფლებათა პატივისცემის შესახებ. შეთანხმებაში საუბარია საქართველოს ევროპული მისწრაფებებსა და იმ საერთო ღირებულებებზე, რომელზეც დგას ევროკავშირი და რაც ნებისმიერი დემოკრატიული სახელმწიფოს განვითარების წინაპირობაა.

ადამიანის ძირითადი უფლებების საკითხი მნიშვნელოვან ადგილს იკავებს ვიზა ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმაში. დოკუმენტი საქართველოს ხელისუფლებას ავალდებულებს განახორციელოს კანონმდებლობა პირად მონაცემთა დაცვის საკითხებზე; უზრუნველყოს მონაცემთა დაცვის დამოუკიდებელი საზედამხედველო ორგანოს ეფექტიანი ფუნქციონირება; ანტი-დისკრიმინაციული კანონმდებლობის სასწავლო პროგრამების შესრულება და მონაცემთა დაცვის შესახებ ინფორმირებულობის ამაღლება, ისევე, როგორც შესაბამისი ორგანოებისა და თანამდებობის პირთათვის ეთიკის კოდექსებისა და სახელმძღვანელოების შემოღება.

10 დეკემბერს საქართველოს სახალხო დამცველმა დიპლომატიურ კორპუსის, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებს 2015 წლის ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის შესახებ ანგარიში წარუდგინა. უჩა ნანუაშვილი მიმდინარე წლის მნიშვნელოვან მოვლენად გაეროს გენერალური ასამბლეის პლენარულ სხდომაზე საქართველოს ადამიანის უფლებათა საბჭოს წევრად არჩევას მიიჩნევს.

ანგარიშში აღნიშნულია, რომ წამების, არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობის შესახებ მსჯავრდებულთა ათასობით საჩივარი კვლავ გამოძიების რეჟიმშია, დასკვნები კი მხოლოდ ერთეულ საქმეებზე დევს.

უჩა ნანუაშვილი, თავის ყოველწლიურ ანგარიშში ტელეკომპანია, რუსთავი 2-ის პრობლემასაც შეეხო და აღნიშნა, რომ მწვავედ დგას სასამართლო ხელისუფლების მხრიდან გამოხატვის თავისუფლებაში გაუმართლებლად ჩარევის საკითხი.

ქვეყანაში პრობლემად რჩება გენდერული თანასწორობის მიღწევა; კერძოდ, დაბალია ქალთა პოლიტიკური და ეკონომიკური აქტივობა. ამასთან, შემაშფოთებელია ქალთა მიმართ ძალადობისა მასშტაბები. კვლავაც საგანგაშო და შემაშფოთებელია ბავშვთა უფლებების დაცვის მდგომარეობა, მათ შორის, ბავშვთა სიკვდილიანობისა და სიღარიბის მაღალი მაჩვენებელი.

ქვეყნისთვის სერიოზულ გამოწვევად რჩება დევნილთა განსახლება და სიცოცხლისათვის საშიშ გარემოში ცხოვრება; კონფლიქტით დაზარალებული მოსახლეობისთვის კვლავ გამოწვევაა დასაქმება და უსაფრთხოდ გადაადგილება. განსაკუთრებით საგანგაშოა გალის რაიონში მშობლიურ ენაზე განათლების მიღების უფლების შეზღუდვა.

სავალალოა ხანდაზმულთა სოციალური მდგომარეობა; მოუწყობელია ინკლუზიური განათლების სისტემა. კვლავ პრობლემურია ჰომოფობიური დამოკიდებულება ლგბტ პირთა მიმართ და სიძულვილის ნიადაგზე ჩადენილი დანაშაულების დროული და ეფექტური გამოძიება.

სახალხო დამცველი აღნიშნავს, რომ არაერთი რეკომენდაციის მიუხედავად, სახელმწიფო დონეზე არ გადადგმულა ქმედითი ნაბიჯები შრომის უფლებების დაცვის მონიტორინგზე პასუხის-მგებელი ორგანოს - შრომის ინსპექციის შესაქმნელად.

ევროკავშირის ელჩმა საქართველოში იანოშ ჰერმანმა ქვეყანაში ადამიანის უფლებათა დაცვის თვალსაზრისით გადადგმული ნაბიჯები მიმოიხილა. განსაკუთრებით ხაზი გაუსვა საკანონმდებლო ხარვეზების აღმოფხვრისთვის მიმდინარე პროცესს და მათ შორის, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსში შეტანილ ლიბერალურ ცვლილებებს.

ზემოთ განხილული საკითხები ცხადყოფს ადამიანის უფლებებისა და თავისულებების ფუნდამენტალური მნიშვნელობის არსს. დასაფასებელია მთელი რიგი რეფორმები და წინ გადადგმული ნაბიჯები, რომლებიც ჩვენი მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებების დასაცავად ხორციელდება, თუმცა მიზნამდე, რომელიც თანასწორუფლებიანი მოქალაქეების თავისუფალ ქვეყანაში ცხოვრებას გულისხმობს, ჯერ კიდევ გრძელი გზა გვაქვს გასავლელი.

MoneyShop®
უზნაძის ქუჩა 64, 0102 თბილისი T: + 995 322 911 169 M: + 995 595 332 828 E: info@moneyshop.ge www.moneyshop.ge

რა რისკებთან აქვს დაკავშირებული სამედიცინო მკურნალობა საზღვარგარეთ?

მარიამ ტარიელაშვილი (თურქეთი)

სამედიცინო ტურიზმი დღითიდღე უფრო პოპულარულია. ადამიანები მოგზაურობენ, რომ მიიღონ უკეთესი სამედიცინო მომსახურება სხვა ქვეყანაში, მაგრამ ეს ყოველთვის დადებითი შედეგით არ სრულდება. გამგზავრებამდე აუცილებელია შესაბამისი კონსულტაციის გავლა საქმის სპეციალისტთან. აღნიშნულის შესახებ ობსერვერი სამედიცინო ტურიზმის საერთაშორისო ექსპერტს, პაატა რატიანს ესაუბრა.

რას ნიშნავს ტერმინი „სამედიცინო ტურიზმი“?

სამედიცინო ტურიზმს დიდი ისტორია აქვს. ადამიანები უხსოვარი დროიდან მოგზაურობდნენ სხვადასხვა სახის სამედიცინო მომსახურების მისაღებად. ცნობილი იყო ადგილები, სადაც ამა თუ იმ დაავადებას მკურნალობდნენ: იქნებოდა ეს სახელგანთქმული მკურნალები, თუ ბუნებრივი გამაჯანსაღებელი წყაროები.

თანამედროვე სამედიცინო ტურიზმი, რა თქმა უნდა, განსხვავებულია. მისი განმარტება ასეთია: ეს არის პროცესი, რომლის დროსაც პაციენტები მიემგზავრებიან სხვა დანიშნულების ადგილებში სამედიცინო მომსახურების მიღების მიზნით.

არსებობს ლოკალური, რეგიონული და გლობალური სამედიცინო ტურიზმის ტიპები. ზოგიერთ შემთხვევაში პაციენტები იღებენ მომსახურებას დისტანციურად ტელემედიცინის მეშვეობით და ესეც სამედიცინო ტურიზმის სახეობაა. არსებობს საგანმანათლებლო სამედიცინო ტურიზმი, როდესაც სამედიცინო პერსონალი მოგზაურობს კვალიფიკაციის ამაღლების, პრაქტიკისა და სხვა მიზნით.

თანამედროვე სამედიცინო ტურიზმის განვითარებას განაპირობებს 3 ძირითადი ფაქტორის ზემოქმედება, ესენია: სამედიცინო მომსახურების ხარისხი, ხელმისაწვდომობა და ფასი.

რა პროცედურებს მოითხოვს საზღვარგარეთ მკურნალობა?

ჩვენთან პირველადი კონსულტაცია უფასოა. ამისათვის საჭიროა წინასწარი ჩაწერა. უშუალოდ პაციენტის მოსვლა აუცილებელი არ არის. სასურველია, თან იქონიოთ პაციენტის ისტორია (ფორმა 100) და სხვა არსებული სამედიცინო დოკუმენტაცია, გამოკვლევების დისკების ჩათვლით.

კონსულტაციაზე მიიღებთ ამომწურავ ინფორმაციას თანამედროვე სამედიცინო ტურიზმის თავისებურებებზე, მიმდინარე მდგომარეობაზე, ქართველი პაციენტებისათვის არსებულ შესაძლებლობებზე, სპეციფიკასა და აუცილებლად გასათვალისწინებელ ნიუანსებზე და მიიღებთ გააზრებულ გადაწყვეტილებას პროფესიონალურ რჩევებზე დაყრდნობით. ეს კი დაგეხმარებათ საზღვარგარეთ მკურნალობის სწორ შერჩევა / დაგეგმვა / განხორციელებაში.

სწორი დაგეგმვა პროცედურის აუცილებელი კომპონენტია. მნიშვნელოვანია მკურნალობის დასრულების შემდგომი პერიოდის სწორად მართვა. სამშობლოში დაბრუნების შემდგომ სამედიცინო და ფინანსური ანგარიშების მიღება.

როგორია უცხოეთში მკურნალობის ფასები?

თითოეული პაციენტის შემთხვევა ინდივიდუალურია და წინასწარ, მხოლოდ დიაგნოზით ან პრობლემის მოკლე აღწერით, შეუძლებელია ზუსტი ფასის განსაზღვრა. მხოლოდ განაცხადის გაკეთების შემდგომ ხდება პაციენტის სავარაუდო მკურნალობის პროგრამის განსაზღვრა და მისი ღირებულების დადგენა. თუმცა, უნდა ვიცოდეთ, რომ ესეც არის წინასწარი კალკულაცია და ადგილზე პროგრამის ცვლილება გამოიწვევს ფასის ცვალებადობას. დაახლოებითი ფასები კი ასეთია: თურქეთის მიმართულებით კონსულტაცია სპეციალისტებთან 100-200$. დიაგნოსტიკური პაკეტები 1000-4000 დოლარამდე მერყეობს. კომპიუტერული ტომოგრაფია 500-800 დოლარი. მაგნიტორეზონანსული კვლევა 1000 დოლარი და ა.შ. თურქეთის მიმართულებაზე შესაძლებელია ინდივიდუალური ფასდაკლებების მიღწევა ჩვენს პარტნიორებთან.

პაციენტები, რომლებიც ჩვენი ხაზით ხვდებიან კლინიკებში, არიან უფრო დაცული როგორც ფინანსური კუთხით, ასევე სხვა მხრივ - მონიტორინგის თვალსაზრისითაც. რაც შეეხება გერმანიასა და ისრაელს, იქ სამედიცინო მომსახურების ღირებულება დაახლოებით 30-40%-ით უფრო ძვირია და მას ემატება არასამედიცინო მომსახურების ხარჯები (რაც თურქეთში უფასოა). აქ იგულისხმება ტრანსფერები, თარჯიმანი, პაციენტისა და თანმხლები პირების პატრონაჟი იქ ყოფნის განმავლობაში. დაახლოებით თურქეთის მსგავსი ფასებია ალტერნატიულ ევროპულ მიმართულებებში (ესპანეთი, იტალია, პოლონეთი). თურქეთზე უფრო იაფი მომსახურება შეიძლება იყოს ინდოეთში.

რატომ ურჩევდით პაციენტებს თურქეთში მკურნალობას?

თურქეთში მკურნალობა და დიაგნოსტიკა ყველაზე ხელმისაწვდომი ალტერნატივაა მათთვის, ვინც საქართველოში ვერ მიიღო სათანადო სამედიცინო მომსახურება ან უკმაყოფილოა მისი ხარისხით. თურქეთში მომსახურების დაბალი ფასები ერწყმის სამედიცინო დიაგნოსტიკის, მკურნალობისა და რეაბილიტაციის საუკეთესო ხარისხს. ძალიან ბევრი კლინიკა ფლობს JCI (Joint Commission International) საერთაშორისო აკრედიტაციას. ამ ყველაფერს ემატება უფასო სერვისები თურქული კლინიკების მხრიდან - უფასო ტრანსფერი აეროპორტიდან (და უკან), უფასო თარჯიმნის მომსახურება და პატრონაჟი ვიზიტის განმავლობაში.

აღსანიშნავია, რომ დღეისათვის რამდენიმე თურქულმა მსხვილმა სამედიცინო ცენტრმა უპრეცედენტო გარღვევა განახორციელა თანამედროვე სამედიცინო ტექნოლოგიების დანერგვის კუთხით. მათი ექიმები ფლობენ საუკეთესო დასავლურ განათლებას და საფუძვლიანი პრაქტიკა აქვთ გავლილი უმსხვილეს ევროპულ თუ ამერიკულ სამედიცინო სკოლებსა და საავადმყოფოებში. ისინი მუდმივად იმაღლებენ კვალიფიკაციას დასავლურ ცენტრებში.

შესაძლებელია თუ არა მივიღოთ ფინანსური დაფინანსება სახელმწიფო ან კერძო სექტორებისგან?

დღესდღეობით ფინანსური მხარდაჭერა მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ პაციენტისთვის აუცილებელი სამედიცინო მომსახურება ვერ ხერხდება საქართველოში. მათი მხრიდან აუცილებელია შესაბამისი სამედიცინო მანიპულაციის აუცილებლობის დამადასტურებელი დასკვნა სპეციალისტის / ექსპერტის მხრიდან, ასევე ის, რომ აღნიშნულ პროცედურას გაივლიან კონკრეტულ უცხოურ კლინიკაში. თუმცა, ასეთ შემთხვევებშიც კი, დაფინანსება გარკვეულწილად ლიმიტირებულია თანხებში. სამწუხაროდ, პაციენტები, რომლებსაც უკეთესი ხარისხის მიზნით სურთ საზღვარგარეთ მკურნალობა, ფინანსური მხარდაჭერისთვის არასაკმარისი არგუმენტიდან გამომდინარე ვერ იღებენ დაფინანსებას სახელმწიფო თუ კერძო ფონდებისგან.

რა რისკები ახლავს საზღვარგარეთ მკურნალობას?

ის, რომ საზღვარგარეთ მკურნალობის მიზნით წასვლა რისკებთან, სიძნელეებსა და პრობლემებთან იყოს დაკავშირებული, ნამდვილად შესაძლებელია. ეს კი იქიდან გამომდინარეობს, რომ წინასწარ დაგეგმილი პროგრამა დამატებითი პროცედურების საჭიროების გამო შეიძლება შეიცვალოს და ამ ცვლილებამ დამატებითი დრო მოითხოვოს, რაც ხარჯებს უკავშირდება. ამიტომ ვფიქრობ, რომ ამ რისკების გათვალისწინება აუცილებელია პაციენტებისთვის. თავის დაზღვევის მიზნით, მათ ოფიციალურ ორგანიზაციებთან კავშირს ვურჩევდი.

რატომ უნდა მიიღოს პაციენტმა უცხოეთში მკურნალობის გადაწყვეტილება? როცა საქართველოშიც წინ მიდის ეს სფერო, არჩევანი უცხოეთის სასარგებლოდ რატომ უნდა გავაკეთოთ?

გლობალურად იზრდება უხცოეთში წასული პაციენტების ნაკადი და ამას განაპირობებს სხვადასხვა მიზეზი. კონკრეტულად საქართველოს შემთხვევაში ძირითადად მიზეზი არის უფრო მაღალი ხარისხის სამედიცინო მომსახურების სურვილი ან ისეთი მომსახურება, რომელიც საქართველოში არ ტარდება ამ ეტაპზე, ან არასაკმარისად არის განვითარებული - ეს არის ასე ვთქვათ, მამოძრავებელი ფაქტორი, რაც განაპირობებს ჩვენგან პაციენტების წასვლას საზღვარგარეთ. მაგრამ, სხვადასხვა ქვეყანაში ეს სურათი განსხვავებულია, ზოგ ქვეყანაში მიემგზავრებიან იმის გამო, რომ უფრო იაფი მომსახურება და თანხების დაზოგვა სურთ, ზოგან - სწრაფი მომსახურეობა. დროის სიმცირის გამო არ შეუძლიათ თავიანთ ქვეყანაში დიდხანს ელოდონ სამედიცინო მომსახურებას (მაგალითად სკანდინავიის ქვეყნები).

ერთი სიტყვით, გლობალიზაციის შედეგია ის, რომ მსოფლიოში არის დისბალანსი სხვადასხვა ქვეყანას შორის. კერძოდ, სამედიცინო მომსახურების პარამეტრებს, ფასს, ხელმისაწვდომობასა თუ ხარისხს შორის. ეს კი წარმოშობს განსხვავებულ ბაზრებზე ინტერესს კონკრეტული სამედიცინო მომსახურების მიმართ სხვა ქვეყნებში. ეს არის, ასე ვთქვათ, დღევანდელი მოცემულობა, რომელსაც ჩვენ ვერ შევცვლით. ასე რომ, პაციენტის გადაწყვეტილებაზეა დამოკიდებული, თუ სად სურთ სამედიცინო მომსახურების მიღება და რატომ.

რამდენად შესაძლებელია, რომ ოკუპირებული ტერიტორიებიდან საქართველოში შემოსული პაციენტები, მათი სამედიცინო საჭიროებები იყოს ერთ-ერთი ფაქტორი/მიზეზი იმისა, რომ მედიცინას უფრო დიდი ყურადღება დაეთმოს საქართველოში?

ეს პროცესი ნამდვილად მისასალმებელია. სახელმწიფო დაინტერესებულია ამ საკითხით -ოკუპირებული ტერიტორიებიდან (აფხაზეთიდან, ცხინვალის რეგიონიდან) გადმოსულ პაციენტებს უფასოდ ემსახურებიან, რაც მათი სამედიცინო მომსახურების დაბალი ხარისხიდან გამომდინარე ბუნებრივად წარმოშობს უფრო დიდ მოთხოვნას საზღვარგარეთ მკურნალობაზე, კონკრეტულად კი საქართველოზე. უფასო მომსახურება, რა თქმა უნდა, ხელს უწყობს დამოკიდებულების გაჯანსაღებასაც. რაც შეეხება საქართველოს სამომავლო პერსპექტივას, ის, რომ ევროპიდან საქართველოში ჩამოვიდნენ სამკურნალოდ - ჯერ წარმოუდგენელია. თუმცა, ჩვენ გვაქვს იმის შესაძლებლობა, რომ ვიყოთ რეგიონული ცენტრი, ე. წ. ჰაბი, სადაც პირველ რიგში მოხვდებიან იმ რეგიონის მცხოვრებლები, სადაც მედიცინა ნაკლებადაა განვითარებული. ჩვენ ირგვლივ სამეზობლოში, კავკასიის რეგიონში, თუნდაც ჩრდილოეთ კავკასია, რომელიც მედიცინის ხარისხის სერიოზულ დეფიციტს განიცდის - ჩვენ შეგვიძლია ვიყოთ მათი ცენტრი, რაც ხელს შეუწყობს ადგილობრივი მედიცინის განვითარებას და ეკონომიკის ზრდას.

სამომავლოდ ახალგაზრდა ექიმებისთვის და სტუდენტებისთვის სტაჟირების ან რეზიდენტურის კუთხით გეგმები გაქვთ?

სტაჟირების პროგრამები გვაქვს პერიოდულად, თუმცა ჩვენი სტუდენტებისა და ექიმების მხრიდან ენის ნაკლებად ცოდნის გამო, ასევე ფინანსური პრობლემების გამოც ეს პროექტი პრაქტიკულად არ ფუნქციონირებს.

Tiflis PALACE

Palace of Hospitalily

Hotel "Tiflis Palace" Offers 7 Categories of Elegantly Designed, Comfortable Rooms from 18m² to 140m² with Picturesque Views of Old Tbilisi.
Everything to Ensure Luxury Comfort and the Best Rest for Our Dear Guests!

Conference & Banquet Services

Tiflis Palace Provides the Perfect Environment as for Business Meetings as well for a Truly Romantic Wedding in a Legendary Place with an Astonishing and Unforgettable Views.
Trust Your Business Event to Our Professionals!

Tiflis Veranda Restaurant and Lounge-Bar

Tiflis Veranda Offers Exquisite Dishes of Local and International Cuisine, Exclusive Deserts and Brand Cocktails, High Quality of Service, with Background of Great Music.
Only here, One Can Feel the Real Spirit of Tbilisi.



3, Gorgasali Street, 0105, Tbilisi, Georgia Tel: +995 32 2 000 245 www.tiflispalace.ge

კვიპროსის ძველი ქართული მონასტრის არტეფაქტების გამოფენას თბილისი მასპინძლობს

ნინი მაჭავარიანი

ვიპროსში, ღალიის მონასტრის მიმდებარე ტერიტორიაზე აღმოჩენილი, X-XVI საუკუნით დათარიღებული, მნიშვნელოვანი არტეფაქტების გამოფენას თიბისი გალერეა მასპინძლობს.

საქართველოს პრემიერ-მინისტრის ინიციატივით, 2015 წელს ღალიის მონასტრის ტერიტორიაზე არქეოლოგიური სამუშაოების გასაგრძელებლად თანხა სარეზერვო ფონდიდან გამოიყო.

29 სექტემბრიდან 10 ოქტომბრის ჩათვლით, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, კვიპროსზე მდებარე ღალიის მონასტერს სარესტავრაციო და საკონსერვაციო სამუშაოები ჩაუტარდა. ამავე პერიოდში ჩატარდა ღალიის სამონასტრო კომპლექსის სრული ტერიტორიის ტოპო-გეოდეზიური აზომვა და წმინდა ნიკოლოზისა და ღვთისმშობლის ტაძრების, როგორც არქიტექტურის, ისე მხატვრობის 3D სკანირება.

ღალიის სამონასტრო კომპლექსი კუნძულ კვიპროსის დასავლეთ ნაწილში, პაფოსის რეგიონის ქალაქ პოლისთან მდებარეობს. ცნობები მონასტრის შესახებ ქართულ საისტორიო წყაროებშია დაცული. 2006-2010 წლებში განხორციელებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად დადგინდა, რომ ღალიაში ქართველთა მონასტერმა X საუკუნის მეორე ნახევრიდან XVI საუკუნის 70-იან წლებამდე იარსება.

გამოფენაზე წარმოდგენილი არტეფაქტები - კედლის მხატვრობის ფრაგმენტები, კერამიკა, მინა, ლითონისა და ძვლის მასალა, მონეტები - დაცულია ქალაქ პოლისის არქეოლოგიის მუზეუმში.

ხელოვნებათმცოდნე გიორგი გაგოშიძე (კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს აღნუსხვა დოკუმენტირების უფროსი), ობსერვერი-სთვის მიცემულ ექსკლუზიურ ინტერვიუში აღნიშნავს, რომ 1981 წელს კვიპროსზე, ღალიის კომპლექსი აღმოაჩინა ამერიკაში მოღვაწე ქართველმა მეცნიერმა, ვახტანგ ჯობაძემ, რომელიც ქართულ ძეგლებს იკვლევდა. მან მოახდინა ამ ძეგლის იდენტიფიცირება და დაადგინა, რომ ეს არის ღალის ქართველთა მონასტერი.

2001 წელს კვიპროსზე იმყოფებოდა საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი ილია II, სწორედ მაშინ გადაწყდა სამონატრო კომპლექსის ნანგრევების არქეოლოგიური შესწავლა. ამ საქმეს სათავეში ჩაუდგა, კვიპროსში მოღვაწე ქართველი სასულიერო პირი, - მამა ზაქარია ფერაძე.

2006 წელს კულტურის, ძეგლთა დაცვის და სპორტის სამინისტრომ

საჭირო თანხა გამოყო არქეოლოგიური შესწავლისთვის. ხელმძღვანელი იყო ბატონი იულონ გაგოშიძე, რომელმაც 2006 წელს კვიპროსში ქართველების საკმაოდ დიდი ჯგუფი ჩაგვიყვანა, მათ შორის იყვნენ: არქეოლოგი, რესტავრატორი, ხელოვნებათ-მცოდნე და იმ ახალგაზრდული ორგანიზაციის წევრი სტუდენ-ტები, რომლებიც იკვლევენ ასეთ საკითხებს.

მასშტაბური არქეოლოგიური გათხრები 2011 წლამდე გაგრძელდა. ამ რამდენიმე წლის განმავლობაში ექვსი არქეოლოგიური კამპანია ჩატარდა. კომპლექსი მთლიანად გაითხარა და გაიწმინდა, სადაც აღმოჩნდა ღვრთისმშობლის ტაძარი, მის ჩრდილოეთით კი, წმინდა გიორგის ტაძარი. იდენტიფიცირება რთული არ იყო, რადგან აღმოაჩინეს ფრესკა წმინდა გიორგის გამოსახულებით. პატარა სამლოცველოში კი ქართულ წარწერებს მიაკვლიეს. ტაძრის ჩრდილოეთით იყო აგრეთვე მეორე სამლოცველო.

ღალიად წოდებული მონასტერი „ქართლის ცხოვრებაში“ მოიხსენიება, როგორც ღალი და ხანდახან, როგორც ჟალი. მოხსენიებულია თამარ მეფის ისტორიკოსთანაც.

„დადგინდა, რომ ტაძარი ტრიქონკის ტიპის ნაგებობა იყო და კვიპროსზე მსგავსი გეგმარებით სხვა არ აღმოჩენილა, მაგრამ საქართველოში და ტაო-კლარჯეთში ტრიქონკული ტიპის ტაძრები სჭარბობდა“,- აღნიშნა გიორგი გაგოშიძემ.

არქეოლოგიური გათხრების შედეგად ასევე დადგინდა, რომ ღალიის მონატერი აშენდა X საუკუნის 60-70 წლებში, დავით III კურაპალატის მიერ.

სამონატრო კომპლექსი არსებობდა ექვსი საუკუნის განმავლობაში. თვალსაჩინოა, რომ იქვე იყო სამწიგნობრო კერა, ამაზე მიუთითებს XII- XIII საუკუნის მიჯნაზე მოღვაწე მონასტრის წინამძღვრის სახელიც - იოანე მწიგნობარი. ცნობილია, რომ მონასტრიდან ორ კილომეტრში იყო განსამარტოებელი დასაყუდებელი, სადაც XI – XII საუკუნეში გადაიწერა ფსალმუნების თარგმანი. დასაყუდებელი იყო ორ სართულიანი, პირველი სართული ბერების განსასვენებელი, სადაც დასაკრძალავი კამერა და საძვლეები იყო. „ასამდე ინდივიდის ძვლები აღმოვაჩინეთ“,-იხსენებს გაგოშიძე.

ხელოვნებათმცოდნე აღნიშნავს, რომ 2011 წელს ეკლესიის კონსერვაცია მოხდა, ხოლო 2013 წელს ტაძარი მსუბუქი კონსტრუქციით გადაიხურა. 2015 წელს კი მეორედ განხორციელდა ეკლესიის კონსერვაცია და გადახურვა.

„რაც შეეხება არტეფაქტებს, ამჯერად ძალიან მცირე ნაწილია ჩამოტანილი საქართველოში, სულ 131 ექსპონატი (რესტავრირება გააკეთა კვიპროსულმა მხარემ), რაოდენობრივად ეს აღმოჩენილიდან ერთი პროცენტის ტოლფასია“, - თქვა გაგოშიძემ. როგორც ირკვევა მთელი ეს მასალა არის ღალიის მონატრის მახლობლი პატარა ქალაქ პოლისის მუზეუმის საკუთრება.

ცნობილი გახდა, რომ მუზეუმის სივრცის გაზრდას აპირებენ, რათა ღალის მონასტერში აღმოჩენილი მასალა სპეციალურად გაკეთებულ ვიტრინაში გამოფინონ. აღსანიშნავია, რომ ასე კარგად შესწავლილი ქართული ძეგლი ჯერ არ არსებობს.

25 დეკემბრამდე კუნძულ კვიპროსის უნიკალური არტეფაქტების დათვალიერება ნებისნიერ მსურველს შეუძლია.

2016 წლიდან დაგეგმილია არქეოლოგიური გათხრების ახალი ეტაპის დაწყება, რადგან მეცნიერთა ჯგუფის ვარაუდით, შესაძლოა მონასტრის ტერიტორიაზე კიდევ აღმოჩნდეს უნიკალური არტეფაქტები.

პირველი ქართველი მომღერლის ჰოლოგრამა - კონცერტი, რომელიც ისტორიას დარჩება

ნინი მაჭავარიანი

კონცერტში, სახელწოდებით „ისტორიას დარჩება“, 15 დეკემბერს თბილისის დიდ საკონცერტო დარბაზში გაიმართება. მონაწილეობენ ცნობილი მუსიკოსები: ნიაზ დიასამიძე, პეჩო, უცნობი, ვაკის პარკი, ნიკა კაჩაროვი, დათო ევგენიძე, ეკო დეისაძე, Sophie Villy, LOUDspeakers, The Window, The Mins, Kung Fu Junkie, MAO, Jetbird, კაკადუ, ჯერონიმო, რობი კუხიანიძე, ქეთათო და გელა ჩარკვიანი.

ღონისძიებისთვის, პირველად ქართულ რეალობაში, სპეციალურად დამზადდა ირაკლი ჩარკვიანის ვირტუალური გამოსახულება (ჰოლოგრამა), რომლის მეშვეობითაც ერთ-ერთ ჰიტს თავად ირაკლი შეასრულებს.

ღონისძიების ორგანიზატორი და იდეის ავტორი ფონდი „ავტოგრაფია“. ფონდის დამფუძნებელი გიგა კობალაძე აღნიშნავს, რომ ჰოლოგრამის დამზადებას 6 თვეზე მეტი დასჭირდა. რადგანაც მისი შექმნა დიდ თანხასთანაა დაკავშირებული, წარმოდგენილი იქნება მხოლოდ ერთი კომპოზიცია. სიმღერა, რომელსაც ირაკლი შეასრულებს ჯერ-ჯერობით საიდუმლოა და მსმენელისთვის სიურპრიზი იქნება.

„კონცერტის სახელწოდება „ისტორიას დარჩება“, ავიღეთ ირაკლის სიმღერიდან, რადგან ეს მოვლენა ისტორიას უნდა დარჩეს, როგორც ქართველი მუსიკოსის ჰოლოგრამით გაცოცხლების პირველი პრეცედენტი“, -აღნიშნა კობალაძემ.

ირაკლი ჩარკვიანი 1961 წლის 19 ნოემბერს დაიბადა, ცნობილი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწის, გელა ჩარკვიანისა და ნანა თოიძის ოჯახში. ის იყო ქართველი მუსიკოსი, პოეტი და წიგნის ავტორი.

„ირაკლი ბავშვობიდან წერდა ლექსებს, უსმენდა მუსიკას, რომელსაც მამა ქმნიდა და დედა უკრავდა. იგი ძალიან სათნო და კეთილი იყო. უყვარდა ადამიანები და ცხოველები, სახლში ჯდომა და ფიქრი, ხატავდა ძალიან კარგად. გარდაცვალებამდე მითხრა: იმდენი მელოდია მაქვს თავში, უკვე აღარ ვიცი რა ვქნაო.“ - იხსენებს ირაკლის და, თეონა ჩარკვიანი.

ირაკლი ჯერ კიდევ 18 წლის იყო, როდესაც ქეთი ქობულიზე დაქორწინდა. მეორე მეუღლე, დის მეგობარი, ლენა იყო, პროფესიით ბალერინა. მომღერალი ქეთათო ირაკლის მესამე ცოლია, მათ შორის 17 წლიანი ასაკობრივი სხვაობა იყო. როგორც ამბობდნენ: სიყვარული გაცნობიდან ორი წლის შემდეგ მოვიდა. მუსიკოსმა თავისი გრძნობები წიგნში „მშვიდი ცურვა“ გამოხატა.

მუსიკალური მოღვაწეობა მომღერალმა 1976 წელს, ჯგუფ „არიშთან“ ერთად დაიწყო. ირაკლის პირველი სოლო-გამოჩენის მაუწყებელი იყო სიმღერა „War is Over”, პირველი სოლო დისკი, Svan Songs, 1993 წელს გამოიცა, მეორე სტუდიური ალბომი - „აფრენ“ 1999 წელს, ხოლო მორიგი დისკი „ამო“ 2001 წელს გამოჩნდა. იგი ერთდროულად მუშაობდა ბევრ ახალ სიმღერაზე და იღებდა საინტერესო ვიდეოკლიპს. სწორედ ამ პერიოდიდან აირჩია მან საკუთარ ფსევდონიმად „მეფე“.

საინტერესოა, რომ თითქმის ყველა სიმღერაში იყენებდა ჩინური ჩაის ქილას, რომელშიც ბრინჯი იყო ჩაყრილი. ირაკლი ეხებოდა პრობლემებს, რომელიც მხოლოდ მას არ აწუხებდა. ირონიით, ცინიზმით, ზოგჯერ კი ზედმეტი სერიოზულობით საუბრობდა, წერდა და მღეროდა საქართველოზე, საზოგადოებაზე, ხალხზე, სიყვარულზე. გრძნობდა, განიცდიდა, რასაც ხან აგრესიით, ხანაც მოჩვენებითი ინდიფერენტულობით გამოხატავდა, რაც კარგად აისახა მის შემოქმედებაზე. იცოდა, რომ მისი არ ესმოდათ, მაგრამ სჯეროდა, რომ გავიდოდა დრო და აუცილებლად გაუგებდნენ.

2006 წლის 24 თებერვალს მუსიკოსი საკუთარ სახლში გარდაიცვალა. 2007 წელს, ცნობილმა მუსიკოსებმა: ჯგუფებმა „33ა“, „მწვანე ოთახმა“, „Outsider”, „ვაკის პარკმა“, „The Young Georgian Iolitaz”, „ზუმბამ“ და სხვა შემსრულებლებმა მის ხსოვნას სპეციალური ალბომი მიუძღვნეს. დისკს „ქაღალდის გემი“ - Tribute ალბომი ეწოდა.

ირაკლი ჩარკვიანის შემოქმედება დღევანდელ ახალგაზრდებშიც არ კარგავს აქტუალობას. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი გიორგი არეშიძე ამბობს, რომ ირაკლი ჩარკვიანი ყველაზე დიდი მეფეა, მთელი საქართველოს მეფეთა ისტორიაში.

„თავისი სიმყარით ძალიან ბევრი დაანახა საზოგადოებას, ამ შემთხვევაში უნდა გავიხსენოთ ჯინსების თაობის პერიოდი“. - ამბობს ია სართანია. ნინი ხუსკიას აზრით, კი ირაკლი უსაზღვრო ოპტიმისტი იყო და ამას მისი შემოქმედება და გენიალური სიტყვები ამტკიცებს: ,,მე გადავცურავ ზღვას...“



ახალგაზრდა ანალიტიკოსები ქვეყნის უსაფრთხოების საკითხებზე მსჯელობენ

ახლგაზრდა ანალიტიკოსებისთვის კავკასიის უნივერსიტეტში სემინარი - "საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების გარემო - მიმდინარე გამოწვევები" გაიმართა. ღონისძიება პროგნოზირების სააგენტოს "დემოკრატიის ჟანგბადისა" და კავკასიის უნივერსიტეტის ორგანიზებით ჩატარდა.

თემის აქტუალობიდან გამომდინარე ასამდე ახალგაზრდამ გამოთქვა სემინარზე დასწრების სურვილი. საბოლოოდ აპლიკაციების და გასაუბრების შედაგად შეირჩა 20 სტუდენტი, როგორც ორგანიზატორები აცხადებენ, გამოიკვეთნენ აშკარა ლიდერები. ახალგაზრდებმა გამოთქვეს სურვილი მონაწილეობა მიიღონ „დემოკრატიის ჟანგბადის“ პროექტში - ახალგაზრდა ანალიტიკოსი, რომლის ფარგლებშიც მათ ექნებათ საშუალება ნებისმიერი სფეროს ირგვლივ გამოაქვეყნონ ანალიზი, პროგნოზი.

„სისტემა წარმოაჩენს ახალგაზრდების უნარებს, რაც გამოიწვევს როგორ სახელმწიფო, ისე კერძო სექტორების და სხვადასხვა ინსტიტუციების მხრიდან ინტერესს მათ მიმართ. ხოლო სააგენტო, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს მათ წარმოჩენას და რეკომენდაციას გაუწევს ჩვენს ამერიკელ პარტნიორებთან როგორიცაა მორგანის აკადემია და სპენსერის ფონდი“.

მონაწილეებს შესაძლებლობა მიეცათ კვალიფიციური მკვლევარებისგან და ამ სფეროში მოღვაწე პროფესიონალებისგან მიეღოთ ინფორმაცია საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების გამოწვევების შესახებ. სტუდენდებს თავიანთი ცოდნა და გამოცდილება გაუზიარეს ექსპერტებმა: ბ-ნი გიორგი გვალია - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტის დეკანი; ბ-ნი ზურაბ აგლაძე - მკლვევარი, საქართველოს ატლანტიკური საბჭოს წარმომადგენელი, თავდაცვის ეროვნული აკადემიის ყოფილი რექტორი; ბ-ნი შალვა ძებისაშვილი - ეროვნული უსაფრთხოების ექსპერტი, ბრიუსელის თავისუფალი უნივერსიტეტის მკვ-ლევარი, საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატის თა-ნამშრომელი და ბ-ნი ლაშა დარ-სალია - საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს უშიშროებისა და ანალიტიკის დეპარტამენტის დირექტორი.

სემინარის ფარგლებში მიმდინა-რეობდა მსჯელობა საქართველო - რუსეთის ურთიერთობების, ეროვ-ნული უსაფრთხოების ძირითადი გამოწვევების შესახებ. განხილულ იქნა საქართველოს ნატო-ში ინ-ტეგრაციის სტრატეგია. სემინარი მთელი დღის განმავლობაში ინტერაქციულ რეჟიმში მიმდინარეობდა. სამუშაო დღის განმავ-ლობაში გაიმართა დისკუსიები და მონაწილეებს საშუალება მიეცათ სიმულაციურ განხილვებში და უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმარებაში ჩართულიყვნენ, გაეზომათ არსებული და მოსალოდნელი რისკები, დაეგეგმათ საფრთხეების თავიდან არიდების სქემა.

საქართველოს ეროვნული უსაფ-რთხოების გარემოს შესახებ გამართულ სემინარს ესწრებოდნენ სტუდენტები და კურსდამთავრებულები საქართველოსა და საზღვარგარეთის უნივერსიტეტებიდან.

„ეს არ არის ერთჯერადი სემინარი, ეს არის ერთიანი ციკლის ნაწილი, რომელიც ტარდება ახალგაზრდებისთვის, რათა ისინი ჩამოყალიბდნენ სხვადასხვა დარგის ექსპერტებად და აითვისონ ექსპერტობისთვის საჭირო უნარები, მოახდინონ პროცესების მოდელირება და გააკეთონ პროგნოზები ანალიზზე დაყრდნობით“. - განუცხადა ობსერვერს დემოკრტიის ჟანგბადის დამფუძნებელმა, ლევან ჯაშმა.

ორგანიზატორების თქმით, პირველი სემინარი მიზანმიმართლად გაიმართა ეროვნული უსაფრთხოების თემაზე, რადგან ეს არის ჩვენი ქვეყნისთვის მუდამ აქტუალური თემა და ასევე მსოფლიოსთვის (განსაკუთრებით ბოლო დროს განვითარებული მოვლენების ფონზე).

„ვთვლი, რომ მომავალში ეს ახალგაზრდები, როგორც უსაფრთხოების თვალსაზრისით, ისე სხვადასხვა სფეროს შესახებ გარკვეულ რეკომენდაციებსაც კი შესთავა-ზებენ სახელმწიფოს“. - აღნიშნა ორგანიზაციის დამფუძნებელმა.

ორგანიზაცია დემოკრატიის ჟანგბადი წარმოადგენს ანალიტიკური პროგნოზების სააგენტოს, რომელიც შეიქმნა ორი წარმატებული საერთაშორისო ანალოგი სააგენტოს (www.politifact.com, www.stratfor.com) კომბინაციის საფუძველზე. სააგენტო ასევე, მოიცავს სოციოლოგიური კვლევების სისტემას სხვადასხვა მიმართულებით და ემსახურება stratfor-ის მოდელზე ექსპერტთა კლასის ჩამოყალიბებას.

ორგანიზაციის მიზანია საქართველოში ხელი შეუწყოს ახალი თაობების ზრდას და სახელმწიფო ინსტიტუტების ისეთი ფორმით ჩამოყალიბებას, რომელიც საქართველოს გადააქცევს ღირსეულ პარტნიორად ამერიკის შეერთებული შტატებისთვის. დემოკრატიის ჟანგბადი ასევე ემსახურება ახალგაზრდა, პრო-ამერიკული მეინსტრიმის ჩამოყალიბებას რეგიონული მასშტაბით. აქედან გამომდინარე, იგეგმება ახალი თაობის ინტელექტუალური ძალის ლიდერების დაახლოებას ამერიკულ წრეებთან, რაც ხელს შეუწყობს მათი რესურსების რეალიზაციას და წარმოჩენას ფართო ასპარეზზე.

Amira restaurant

Lebanese kitchen & more

27 Mosashvili Str. Tbilisi T: +995 322 90 77 01 M: +995 599 17 96 99 Amira.restaurant@yahoo.com www.amira.tbb.ge

airBaltic

RIGA - TBILISI	BT 722 5,7 RIX TBS	23:05	04:35	+1	735	03:30	airBaltic flights from Tbilisi via Riga to Oslo, Helsinki, Copenhagen, Amsterdam, London, Milan, Paris, Berlin, Munich, Vilnius, Tallinn and Warsaw have minimum connection time 25-30 minutes in Riga airport
TBILISI - RIGA	BT 723 1,6 TBS RIX	05:20	06:55		735	03:55	

33 წლის შემდეგ დიდი და ისტორიული გამარჯვება ძიგორო კანოზე

ვასო ყიფიანი

3 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც დავით ბოდაველმა ტოკიოში, ძიუდოს სკოლის დამაარსებლის, ძიგორო კანოს სახელობის ტურნირი მოიგო. 1981-1982 წლებში ბოდაველი ორჯერ გავიდა ამ პრესტიჟული ტურნირის ფინალში და მხოლოდ ერთხელ მოახერხა გამარჯვება.

2014 წელს ფინალამდე მიაღწია ლევან მატიაშვილმა (+100), მაგრამ ისიც დამარცხდა. საბედნიეროდ, მატიაშვილის მარცხის შემდეგ მხოლოდ ერთი წელი მოგვიწია მოცდა. 2015 წელს ძიგორო კანოს გამარჯვებული ავთანდილ ჭრიკიშვილი გახდა (81). ჭრიკიშვილმა პირველ შეხვედ-რაში მასპინძელი კეიტა ნაგაშიმა დაამარცხა. ქართველმა მასპინძელ იაპონელთან ხუთი წუთი იჭიდავა და მეტოქე ვაზარით დაამარცხა.

მერვედფინალში ჭრიკიშვილმა ჰოლანდიელ ძიუდოისტს ფრანკ დე ვიტს სძლია. ავთომ მეტოქეს ჯერ იუკო აუღო, ხოლო შეხვედრის დასრულებამდე 31 წამით ადრე მეტოქე ბეჭებზე გააკრა.

მეოთხედფინალში ავთოს მეტოქე ბერძენი რომან მასტოპულოსი გახლდათ. ქართველ ძიუდოისტს წუთი და 58 წამი დასჭირდა, რომ ბერძენი დაემარცხებინა. მოწინააღმდეგეს სურდა ავთოსთვის ილეთი გაეკეთებინა, მაგრამ ჭრიკიშვილმა მას ამის საშუალება არ მისცა და იპონზე დააგდო მეტოქე. ბოლო ორი შეხვედრა მან გაფრთხილებებით მოიგო.. ნახევარფი-ნალშიც და ფინალშიც კორეელები დაამარცხა. თუმცა ეს მის გამარჯვებას სულაც არ აკნინებს.

ავთანდილ ჭრიკიშვილმა აჩვენა უმაღლესი კლასის ჭიდაობა. ნახევარფინალში კორეელი კი ჩუნ ვანგი, ხოლო ფინალში ლეე სეუნგსუ დაამარცხა. ფინალი დაბაბული გამოდგა, ჭრიკიშვილმა ჭკვიანური ჭიდაობითა და ბრწყინვალე დაცვით მეტოქეს ორი გაფრთხილება მიაღებინა და 33 წლიანი პაუზის შემდეგ ძიგორო კანო ისევ მოიგო ქართველმა ძიუდოისტმა.

აღსანიშნავია, რომ დარჩენილ წონით კატეგორიებში სულ მასპინძლებმა გაიმარჯვეს. ჭრიკიშვილი იყო ერთადერთი უცხოელი, რომელმაც 2015 წლის ძიგორო კანოზე ოქროს მედალი მოიპოვა. სამწუხაროდ, ჭრიკიშვილის ოქროს მხოლოდ ნუგზარ ტატალაშვილის ბრინჯაოს მედალი დაემატა.

სხვა ძიუდოისტებმა ვერ შეძლეს კვარცხლბეკზე ასვლა. 73 კილოგრამ წონით კატეგორიაში, მესამე ადგილისთვის გამართულ შეხვედრაში ერთმანეთს ნუგზარ ტატალაშვილი და ლაშა შავდათუაშვილი შეხვდნენ, როგორც ზემოთ აღვნიშნე ბრინჯაოს მედალი ტატალაშვილმა მოიპოვა, რომელმაც ლაშა ვაზარით დაამარცხა.

ტურნირზე თითო შეხვედრა მოიგეს ლუხუმ ჩხვიმიანმა და ამირან პაპინაშვილმა. (60)

უშანგი მარგიანი ავთოს მეტოქე ლეე სეუნგსუსთან დამარცხდა მეოთხედფინალში. პირველივე შეხვედრა წააგეს ვარლამ ლიპარტელიანმა და ადამ ოქრუაშვილმა.

ბექა ღვინიაშვილმა ახალ წონაში მეხუთე ადგილი დაიკავა.(100) ასევე მეხუთე ადგილი დაიკავა ლევან მატიაშვილმა (+100). ჩვენმა ნაკრებმა გუნდურ ჩათვლაში მეორე ადგილი დაიკა-ვა, ხოლო პირველ ადგილზე მას-პინძელი იაპონელები გავიდნენ.

ხვიჩის სპორტული სიახლეები

ვასო ყიფიანი



საბა კვირკველიას ყაზანის ,,რუბინი'' ევროპა ლიგაზე ჯგუფში ჩარჩა. ყაზანელებმა ბოლო მატჩი საფრანგეთში ,,ბორდოსთან'' გამართეს და ფრედ 2:2 ითამაშეს. ქართველი ფეხბურთელის გუნდმა ჯგუფში მესამე ადგილი დაიკავა. პირველ ადგილზე ინგლისური ,,ლივერპული'', ხოლო მეორეზე შევიცარიული ,,სიონი'' გავიდა.

ევროპა ლიგას დაემშვიდობა თემურ ქეცბაიას გაწვრთნილი ,,აპოელიც''. კვიპროსელები ბოლო შეხვედრაში პრაღის ,,სპარტასთან'' დამარცხდნენ. (1:3). ანგარიში ,,აპოელის'' არგენტინელმა ფეხბურთელმა ფერნანდო კავენაგიმ გახსნა, მაგრამ მატჩის ბოლო დავიდ ლაფატას დუბლით პრაღის გუნდმა თამაში შემოატრიალა და გაიმარჯვა. ქეცბაიას გუნდმა ექვსი მატჩიდან ერთი მოიგო და 3 ქულით ბოლო ადგილზე გავიდა.

ზაზა ფაჩულია წარმატებულ თამაშს აგრძელებს. NBA-ში ,,ატლანტასთან'' გამართულ შეხვედრაში ,,დალასელთა'' ცენტრმა 11 ქულა და 17 მოხსნა მოაგროვა. სამწუხაროდ, ,,დალასმა'' შეხვედრის მოგება ვერ მოახერხა. (95:98)

თბილისის ,,დინამო'' ზამთრის ჩემპიონია. გია გეგუჩაძის გუნდმა მე-15 ტურში ქობულეთში ,,ჩელე არენაზე'' გამართულ შეხვედრაში ,,შუქურას'' 1:3 მოუგეს და 40 ქულით დაასრულეს ჩემპიონატის პირველ ნაწილი.

ბექა ბურჯანაძემ "ლეიმა ბასკეტს" მორიგ მატჩი მოაგებინა. ესპანეთის მეორე დივიზიონის მორიგი ტურის მატჩში ლაკორუნიელებმა "კასერესს" უმასპინძლეს და 10 ქულის სხვაობით - 85:75 დაამარცხეს მეტოქე.

ბექამ დიდი შედეგიანობა გამოავლინა და 27 წუთში 26 ქულა ჩააგდო, ზედ 10 მოხსნაც დაამატა და ორმაგი დუბლი გაიფორმა.

მოსკოვში მანუჩარ მარკოიშვილის ,,დარუფშაკა'' ,,ცსკასთან'' 28 ქულით დამარცხდა. (66:94) ,,დარუფშაკამ'' აუცილებლად უნდა მოიგოს ბოლო მატჩი, თორემ ჯგუფში ჩარჩება. მარკოიშვილი სასტარტო ხუთეულში იყო და მოედანზე 14 წუთი გაატარა. მანუჩარმა ერთადერთხელ შეუტია, თუმცა მისი ორქულიანი არმიელთა კალათში არ ჩაეშვა. ქართველი უკანახაზელის ანგარიშზე საბოლოოდ 1 მოხსნა, 1 პასი და 1 ჩაჭრა დაგროვდა - ბურთიც ერთხელ დაკარგა.

საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტობისთვის გიორგი ნიჟარაძე და ირაკლი აბუსერიძე იბრძოლებენ. კანდიდატების წარდგენის ვადა 11 დეკემბერს დასრულდა. რეგისტრაცია საქართველოს რაგბის კავშირის მოქმედმა პრეზიდენტმა გიორგი ნიჟარაძემ და "ბორჯღალოსანთა" ყოფილმა კაპიტანმა, საქართველოს რაგბის კავშირის სპორტულმა დირექტორმა ირაკლი აბუსერიძემ გაიარეს.

OBSERVER
OBSERVE TO LEAD

Managing Director: Nino Sharashidze
Nino.sharashidze@observer.com.ge

Chief Editor: Tamar Chapidze
editor@observer.com.ge

Subscription & Advertising: sales@observer.com.ge

15 Shio Mghvimeli Str.
0179, Tbilisi, Georgia
E: info@observer.com.ge
T: +995 557 68 36 53

ისთ ფოინთი
სავაჭრო & გასართობი ქალაქი

გართობის • დასვენების
შოპინგის
ქალაქი

10:00 - 22:00

eastpointtbilisi
16 333
www.eastpoint.ge